სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 261 (19403) ◆ შაბათი, 12 ნოემბერი, 1985 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგია

გუშინ გამოქვეყნდა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმმა მოიწონა.

ეს არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი. მასში გაშუქებულია პარტიის ეკონომიკური სტრატეგია, მატერიალიზებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის დებულებანი, რომლებიც გამოიხატება კონკრეტული სამეურნეო დავალებებით მისი რეალიზაციის ისეთი პასუხსაგები ეტაპის მისადაგებით, როგორიც არის მეთორმეტე ხუთწლედი და 2000 წლამდე პერიოდი.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმზე აღინიშნა, პროექტი ძირითადად შეესაბამება პარტიის საპროგრამო მოთხოვნებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ამავე დროს ისეთი სტრატეგიული ამოცანების ერთდროულ გადაწყვეტას, როგორიც არის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება, სათანადო დონეზე ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შენარჩუნება.

პარტიის გეგმებს საფუძვლად უდევს მტკიცე საძირკველი. საბჭოთა ადამიანების შრომით შეიქმნა მძლავრი ეკონომიკური, მეცნიერო-ტექნიკური და კულტურული პოტენციალი. ჩვენს ქვეყანას ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, აქვს მძლავრი ინდუსტრია, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ბევრი მიმართულებით სსრ კავშირს წამყვანი პოზიციები უკავია მსოფლიოში. სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების დროს გადაიდგა დიდი ნაბიჯი წინ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების გზაზე.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება იყო და არის პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზანი. ამ მიზნის რეალიზაცია მოითხოვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, წარმოების ყოველნაირი ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის გადიდებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. ისტორიულად მოკლე ვადაში — სამ ხუთწლედში — უნდა მივაღწიოთ საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების თვისებრივად ახალ დონეს, კარდინალურად დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უზრუნველვყოთ სწრაფი წინსვლა ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებით, შევქმნათ საწარმოო პოტენციალი, რომელიც თავისი მასშტაბით გაუტოლდება ყოველივე იმას, რაც ყველა წინა წელს შეიქმნა.

უნდა განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქცია და ამ საფუძველზე გარდავქმნათ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გამოვიყენებთ ყველაზე პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესებსა და მოქნილ წარმოებებს, სულ უფრო ფართო მასშტაბით ვაწარმოებთ წარმოების ელექტროფიკაციას, ქიმიზაციას, რობოტიზაციას, კომპიუტერიზაციას, გამოვიყენებთ ბიოტექნოლოგიას. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მომავალ 15 წელიწადში ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გავზარდოთ თითქმის ერთიორად, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 2,3-2,5-ჯერ და ამრიგად გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი პროგრამის ამოცანის განხორციელების — ამ მაჩვენებლის მიხედვით უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევის გზაზე.

თანამედროვე პირობებში და პერსპექტივაში ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ხდება ეკონომიის რეჟიმის ყოველნაირი გაძლიერება. რესურსების დაზოგვა უნდა გადავაქციოთ დამატებითი მატერიალურ რესურსებზე სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტ წყაროდ. სათბობზე, ენერგიაზე, ნედლეულსა და მასალებზე მოთხოვნილების მატების 75-80 პროცენტი უნდა დავაკმაყოფილოთ მათი ეკონომიის გზით. დაგეგმილია ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა შემცირდეს სულ ცოტა 1,4-ჯერ, მასალატევადობა კი თითქმის ორჯერ. ამისათვის საჭიროა კომპლექსურად გამოვიყენოთ ბუნებრივი და მატერიალური რესურსები, ყველგან აღმოვფხვრათ დანაკარგები და არარაციონალური ხარჯვა, ფართოდ მოვაქციოთ სამეურნეო ბრუნვაში მეორეული და თანამდევი პროდუქტები.

ჩვენს ქვეყანას აქვს მძლავრი საწარმოო პოტენციალი. უნდა გავზარდოთ სიმძლავრეთა დატვირთვა, ფონდუკუგება. წინანდელთან შედარებით უფრო ენერგიულად უნდა დავნერგოთ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, გავაძლიეროთ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია. უნდა დავაჩქაროთ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, კაპიტალურ დაბანდებებს კი თავი მოვუყაროთ სახალხო მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით, და უწინარეს ყოვლისა ისინი უნდა მოვახმაროთ ძირითადი საწარმოო ფონდების განახლებას, მოქმედი საწარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას. მშენებლებმა უნდა შეამცირონ სამუშაოთა თვითღირებულება, სრულყონ მათი ორგანიზაცია. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკვე უახლოეს ათწლეულში 1,5—2-ჯერ შევამციროთ ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ვადები.

მიზნად არის დასახული უზრუნველვყოთ მოკავშირე რესპუბლიკების ჰარმონიული ეკონომიკური და სოციალური განვითარება, რომლებიც ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენენ, ყველა მისი რგოლის ეფექტიანი ურთიერთმოქმედება. უპირატესი ტემპით უნდა განვავითაროთ დარგები და წარმოებები, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას. განსაკუთრებით დაჩქარებული ტემპით უნდა განვავითაროთ მანქანათმშენებლობა, ძირეულად ავამაღლოთ პროდუქციის ტექნიკური დონე. ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით უნდა გაიზარდოს ელექტროენერგიის გამომუშავება ატომურ სადგურებში სულ ცოტა 5-7-ჯერ და გაზის მოპოვება — 1,6-1,8-ჯერ.

უკვე მეთორმეტე ხუთწლედში საფუძველი ეყრება მთელი წარმოების საგრძნობ ძვრას ინტენსიფიკაციისაკენ. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ გავზარდოთ ეკონომიკის განვითარების ტემპი და ეფექტიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის, შექმნილი საწარმოო პოტენციალის ინტენსიური გამოყენების, მართვის, სამეურნეო მექანიზმის სისტემის სრულყოფისა და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მიღწევის ბაზაზე.

«ПРАВДА»

10 ნოემბრის მოწინავე

ვადებში რომ მივაღწიოთ დასახულს, საჭიროა ახალი მიდგომა ყველა სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტისადმი. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო აპარატის განახლებას, უწინარეს ყოვლისა პროგრესული, დიდმწარმოებლური მოწყობილობით ნაკლებ ეფექტიანი მოწყობილობის სწრაფი შეცვლის გზით. უნდა განვახორციელოთ ძირითადი საწარმოო ფონდების საყოველთაო ინვენტარიზაცია, მეხამედით და მეტად გავაახლოთ მათი აქტიური ნაწილი. საჭიროა აგრეთვე მეთერთმეტე ხუთწლედთან შედარებით სულ ცოტა ერთიორად გავზარდოთ მოძველებული ფონდების შეცვლის მოცულობა.

ხუთწლედის საკვანძო პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივ დაჩქარება. ამ მიზნით მტკიცედ უნდა გავზარდოთ მეცნიერებისა და ტექნიკის როლი ინტენსიფიკაციის რელსებზე ეკონომიკის გადაყვანაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ორიენტაცია სოციალური ამოცანების გადაწყვეტაზე.

პარტიის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, გამოიხატება აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის გეგმაზომიერი განვითარებით. აქ ძირითადი ამოცანაა მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურ ზრდას, საიმედოდ უზრუნველვყოთ ქვეყანა სურსათით და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, გავაერთიანოთ კომპლექსის ყველა დარგის მეცადინეობა მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესაბამისად.

უკლებლივ ყველა დარგის, ქვეყნის რესპუბლიკებისა და რაიონების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაზარდონ წვლილი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტაში, თანამიმდევრულად განახორციელონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური მოთხოვნილებანი, გავაძლიეროთ სოციალურ ღონისძიებათა გავლენა წარმოების განვითარებაზე, მისი ეფექტიანობის ზრდაზე.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი თავისებურებაა სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, რამაც უნდა უზრუნველყოს დაგეგმვის, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების, ინიციატივისა და გერგილიანობის განვითარების ორგანული ერთიანობა და ეფექტიანი თანამოქმედება ადგილებზე. მეურნეობრიობის ახალი მეთოდები შრომით კოლექტივებს და მართვის ორგანოებს მიზნად უნდა უსახავდნენ მტკიცე გადასვლას წარმოების განვითარების ინტენსიური ფაქტორების გამოყენებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, დანახარჯების შემცირებას, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. განხილვის შედეგებს გაითვალისწინებენ ძირითად მიმართულებათა საბოლოო განხილვისა და დამტკიცების დროს სკკპ XXVII ყრილობაზე.

„ყველაზე მთავარი, რაც ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ განხილვის პროცესში, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — ეს არის საქმიანი მიდგომა და მიზანსწრაფვა კონკრეტული და პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. უნდა ვიზრუნოთ, რომ კრებები და დისკუსიები მიმდინარეობდეს შინაარსიანად, არ იყოს პარადულობა, აურზაური და ორგანიზაციული გადამლაშება. ამ ღონისძიებებში უთუოდ უნდა მიიღონ ყველაზე აქტიური და უშუალო მონაწილეობა ხელმძღვანელმა პარტიულმა, სახელმწიფო და სამეურნეო კადრებმა...“

საპროგრამო დოკუმენტების შესწავლისა და განმარტების ცენტრები უნდა გახდნენ შრომითი კოლექტივები, მათი პირველადი რგოლები — უბნები და ბრიგადები, ფერმები და ლაბორატორიები. სწორედ აქ იწყება ახლა საგნობრივი სჯა-ბაასი იმაზე, თუ როგორ დაამთავრონ უფრო წარმატებით მიმდინარე ხუთწლედი, დააჩქარონ შრომითი რიტმი და დაიწყონ ახალი, მეთორმეტე ხუთწლედი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალი ხუთწლედის გეგმების ჩამოყალიბებისას ჯერ კიდევ თავს იჩენს ძველებური მიდგომა საქმისადმი. კიდევ გვხვდებიან სამეურნეო მუშაკები, რომლებიც ისევე, როგორც წინათ, ცდილობენ „გამოგლიჯონ“ რაც შეიძლება მეტი მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, დაგეგმონ ახალ სიმძლავრეთა მშენებლობა, მიიღონ პროდუქციის გამოშვების შემცირებული გეგმები. საპროგრამო დოკუმენტების განხილვის მონაწილეები აქტიურად უნდა ილაშქრებდნენ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრისადმი ძველი მიდგომის წინააღმდეგ, უფრო გაბედულად ამკვიდრებდნენ ახალს. არც ერთი სასარგებლო აზრი, არც ერთი საგულისხმო წინადადება არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

პარტიის გეზს — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გეზს მხურვალედ იწონებს მთელი საბჭოთა ხალხი. ამას დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის და შემოთავაზებული ცვლილებებითურთ პარტიის წესდების პროექტის განხილვის მიმდინარეობა.

დასახულ მიჯნებს მხოლოდ დაძაბული, ნაყოფიერი შრომით შეიძლება მივაღწიოთ. ეს აზრი განსაკუთრებული ძალით გაისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმზე. ახლა კიდევ უფრო აქტიური მოქმედების დრო დადგა. საჭიროა თითოეული საბჭოთა ადამიანის, თითოეული საწარმოო და სამეცნიერო კოლექტივის, მართვის თითოეული რგოლის კონკრეტული საქმეები, მიზანდასახული მეცადინეობა.

პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების წარმატებით შესრულებას უნდა მოახმარონ მთელი პოტენციალი, მთელი ჩვენი რესურსები და შესაძლებლობანი, უნარიანად გამოიყენონ ადამიანის ფაქტორი. ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ ორგანიზებულობა, წესრიგი და დისციპლინა, კიდევ უფრო აქტიურად გამოვიყენოთ შრომის მორალური და მატერიალური სტიმულები. ფართო ასპარეზი უნდა მივცეთ საუკეთესო გამოცდილებას, ინიციატივასა და შემოქმედებას, თითოეულ კოლექტივს შევუქმნათ ყველაზე ხელშემწყობი პირობები მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უნდა სრულვყოთ სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და ორგანიზაცია, მიზნად დავუსახოთ მას შრომაში უკეთესი შედეგების მიღწევა.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულონ 1985 წლის სახელმწიფო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, ენერგიული სტარტი აიღონ მეთორმეტე ხუთწლედში, და ამით ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას.

ბათუმელ დოკერთა წარმატება

ცვლებს შორის შესვენების დროს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ბათუმის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან ნავსადგურში ახალი გაზეთები შემოიტანეს, რომლებშიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტი.

აგიტატორებმა და პოლიტინფორმატორებმა დოკერ-მექანიზატორებს გააცნეს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი.

ნავსადგურის მუშაკებმა, რომლებმაც ვადაზე ექვსი თვით ადრე შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის ტვირთდამუშავების გეგმა და გადაჭარბებით დაამთავრეს მიმდინარე წლის ათი თვის დავალება, ახალი დიდი ვალდებულებანი იკისრეს.

ეს მათ საშუალებას აძლევს სოლიდური მარაგნაქითით დაიწყონ მომდევნო ხუთწლედი.

სურათზე: მოწინავე დოკერ-მექანიზატორები მირაბ თურმანიძე, რევაზ სამველიძე, ვლადიმერ ბუდნიკოვი და ანატოლი სოკოლოვი ეცნობიან „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ პროექტს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა: ასამუშავებელი კომპლექსი წლის ბოლომდე უნდა ამოქმედდეს!

გავზარდოთ სპეციალური ავტომობილებისა და მისაბმელების გამოშვება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვისათვის, ავაშენოთ ქუთაისის ავტოქარხნის მეორე რიგი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ პროექტის ამ სტრიქონებმა განსაზღვრეს ტონი, მიმართულება და შინაარსი სჯა-ბაასისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გამსვლელ სხდომაზე, რომელიც 10 ნოემბერს ქუთაისში გაიმართა. მის მუშაობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების ამხანაგების ჯ. ი. პატიაშვილის, გ. ა. ანდრონიკაშვილის, გ. ა. ანჩაბაძის, პ. გ. გილაშვილის, ბ. ვ. ნიკოლსკის, ო. ლ. ქართველიშვილის გარდა, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ვ. ნ. პოლიაკოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ტ. ვ. ლორთქიფანიძე, მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციას ახორციელებენ, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები.

სხდომაზე განიხილეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი უნივერსალური დიზელის ავტომატარებლების სიმძლავრეთა შექმნის დამთავრების ღონისძიებანი. ინფორმაციები გააკეთეს საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ გენერალურმა დირექტორმა თ. ლ. გვენცაძემ, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ი. კ. ხარატიშვილმა, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ უფროსმა გ. გ. გამყრელიძემ, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გ. ლოსევმა, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრის მოადგილემ ზ. ს. სადარდინოვმა, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ა. ასლანიკაშვილმა, და სხვებმა.

ბიუროს სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ვ. ნ. პოლიაკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ა. ანჩაბაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.

ბიუროს გამსვლელი სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ბიუროს გამსვლელ სხდომაზე აღინიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის წლების მანძილზე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს, რათა შეექმნათ და აეთვისებინათ ახალი დიზელის ძრავიანი მანქანის გამოსაშვებად განკუთვნილი სიმძლავრეები. წელს კონსტრუქციებისა და მოწყობილობის მშენებლობისა და დამონტაჟების ტემპმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. საკმარისია ითქვას, რომ ათი თვის მანძილზე კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ათვისებულია 104,7 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 110,6 პროცენტით. ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა რეალიზებულია 113,9 პროცენტით. ამრიგად შეიქმნა ყველა წანამძღვარი, რათა უკვე მიმდინარე წლის დამლევამდე ავამოქმედოთ ასამუშავებელი კომპლექსი, დავამთავროთ 20 ათასი ავტომატარებლის გამოშვების სიმძლავრეთა შექმნა, რასაც სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს.

ასამუშავებელი კომპლექსი ჩავაყენოთ მწყობრში წლის დამლევამდე! ამ აზრით, ამ შემართებით ცხოვრობს დღეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთელი მრავალათასიანი კოლექტივი, ქვეყნის მონათესავე საწარმოთა ასობით მშენებელი და მემონტაჟე, ათობით სპეციალისტი, რომლებიც ქუთაისელებს ეხმარებიან საწარმოს ტექნიკურ განახლებაში.

უკვე დღეს საწარმოს მეტ წილ ობიექტებზე მიმდინარეობს ასამუშავებელ-გასამართავი ოპერაციები. მშენებელთა მეცადინეობით მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში განხორციელდა 11 მილიონი მანეთის სამუშაოები, დამონტაჟებულია 8 ათას ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქციები, ჩასხმულ-ჩადებულია 40 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, გადაადგილებულია თითქმის ნახევარი მილიონი კუბური მეტრი გრუნტი. საგეგმო დავალების შესაბამისად სექტემბერში საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე ათასი მისაბმელის საწარმოო სიმძლავრენი.

ამავე დროს, აღნიშნეს ორატორებმა, ავტოქარხნის რეკონსტრუქციის დამამთავრებელი ეტაპი ხასიათდება გარკვეული სიძნელეებით. საწარმოს მშენებლებმა და მემონტაჟეებმა, სამსახურებმა ვერ შეასრულეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება — 7 ნოემბრისათვის აღმოეფხვრათ ასამუშავებელი კომპლექსის ცალკეულ ობიექტებზე დაშვებული ჩამორჩენა. ეს, კერძოდ, ეხება „გიზაგის“ ფირმის ხაზის მუშაობას, № 3 საბრუნავ წყალმომარაგებას, შესაღებ და შესადუღ ტექნოლოგიურ ხაზებსა და საამწყობო-ჩასაბარებელი წარმოების კიდულ კონვეიერებს, გაზწმენდის სისტემებს, ზოგიერთ სხვას. ნელა მიმდინარეობს ფერადი და ზუსტი ფოლადის სხმულის კორპუსის მშენებლობა.

არსებითი ნაკლოვანებებით აღინიშნა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ ხელმძღვანელობის საქმიანობაც ავტომატარებლების გამოშვების მომზადებისა და ორგანიზაციის დარგში. სათანადო ტემპით არ წარმოებს ტექნოლოგიური მოწყობილობის დამონტაჟება და გამართვა, აგრეთვე ახალი მანქანის დეტალების ატესტაცია.

იმის გამო, რომ ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური დისციპლინა და არის გადახვევები საკონსტრუქტორო დოკუმენტაციისაგან, სათანადო ხარისხისა ვერ არის კაზ-4540 ავტომატარებელი. საწარმოო დეფექტების შედეგად ცდება საექსპლოატაციოდ გადაცემული 226 ავტომობილი. საგულისხმოა, რომ რეკლამაციათა დაახლოებით 75 პროცენტი მოდის გადაცემათა ცვლის კოლოფზე, ქარხნის ტექნოლოგიური სამსახურები კი არ ჩქარობენ წარმოების ამ ვიწრო ადგილის ლიკვიდაციას.

(დასასრული მე-2 გვ.)

დიადი მემკვიდრეობის ფურცლები

გამოვიდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მომზადებული მეორმოცე ლენინური კრებული. მასში შევიდა 116 ლენინური დოკუმენტი. ისინი ასახავენ ვ. ი. ლენინის მრავალმხრივ თეორიულ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას 1888-დან 1922 წლამდე პერიოდში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრებულში მოთავსებულ ვ. ი. ლენინის გამოუქვეყნებელ ან ნაწილობრივ გამოქვეყნებულ შენიშვნებსა და ჩანიშვნებს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებებზე. კრებულში შეტანილია ლენინის მიერ ნათარგმნი ნაწყვეტი ფ. ენგელსის ნაშრომიდან „სამხედრო საკითხი პრუსიაში და გერმანიის მუშათა პარტია“. გამოქვეყნებული დოკუმენტები დიდად დაგვეხმარება ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის, ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედების ხასიათის უფრო ღრმად გარკვევაში.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საქტასი).

საბჭოთა უკრაინის ხელოვნება

პარტიის XXVII ყრილობისადმი საბჭოთა უკრაინის მხატვართა შემოქმედებითი ანგარიში გახდა მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მოწყობილი ექსპოზიცია. ერთი თვის მანძილზე მაყურებლები ეცნობოდნენ რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატთა მიღწევებს, რომლებმაც წარმოადგინეს სხვადასხვა ჟანრის სამი ათასზე მეტი ნაწარმოები.

10 ნოემბერს გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა პ. ა. ალიევმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, პ. ნ. დემიჩევმა და მ. ვ. ზიმიანინმა (საქტასი).

მისალოცი დეპეშა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ანგოლის მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარეს, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშს გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც გულითადად მიულოცეს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მეათე წლისთავი და ყოველივე საუკეთესო უსურვეს.

ხარისხი, ისევ და ისევ ხარისხი!..

„კომუნისტის“ საგუშაგო

შემოდგომის უკანასკნელი თვე იწურება. მთები დაითოვა, მოსავლის აღება გართულდა, მაგრამ სოფლის მშრომელები უამინდობას არ ეპუებიან.

ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატში ყოველდღიურად ხახვით, კარტოფილით, კომბოსტოთი და ჭარხლით დატვირთული ავტომანქანების და რკინიგზის ვაგონების სიმრავლეა.

თუ წინა წლებში მძღოლები აქ 3-4 დღეს ელოდებოდნენ მანქანების დაცლას, წლეულს ტექნიკას უფრო ეფექტიანად იყენებენ, სამცვლიანი მუშაობის შედეგად ავტომანქანებისა და ვაგონების მოცდენა მინიმუმამდე დაიყვანეს, ხანგრძლივი პიკები აღარ არის.

ზამთრისათვის ჭირნახულის შენახვა არც საოქტომბრო დღესასწაულის დღეებში შეფერხებულა. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ტრანსპორტი არ მოცდეს. შარშან ვაგონების მოცდენისათვის კომბინატმა ჯარიმის სახით 90.000 მანეთი გადაიხადა, — გვითხრა ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს წამყვანმა სპეციალისტმა რ. გიორგობიანმა, — წლეულს, დღემდე, მხოლოდ 180 მანეთი ჯარიმაა გადახდილი. ეს იმიტომაც, რომ ყველა ერთსულოვნად, მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობს.

8 ნოემბრისათვის ზამთრის საცავებში საგეგმო 15.700 ტონიდან შენახული იყო 13.519 ტონა ხახვი. დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს ახალციხის, ადიგენის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, ახმეტის, მარნეულის, გურჯაანის, ქარელის, კასპის, სიღნაღის, საგარეჯოს და თელავის საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელებმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი ეს ხახვი ხარისხოვანი და სტანდარტულია.

დღემდე ზამთრის საცავებში ხახვის შენახვის გეგმები არ შეუსრულებიათ და ამ საქმის დაჩქარება მართებთ გორის, გარდაბნის, მცხეთისა და ხაშურის რაიონებს.

რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ზამთრის საცავებში უნდა დააბინაონ 32.500 ტონა კარტოფილი. შენახულია კი 32.283 ტონა. დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს წალკის, თეთრი წყაროს, ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის და დმანისის რაიონებმა. ახალქალაქის რაიონს 13.000 ტონიდან შემოზიდული ჰქონდა 11.630 ტონა კარტოფილი. მალე ახალქალაქელი მეკარტოფილეები გეგმას შეასრულებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრი რაიონი გეგმის გადამეტებით კვლავ გზავნის კარტოფილს საცავებში შესანახად, ოღონდ სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ხარისხისათვის ზრუნვა ავიწყდებათ.

ამას წინათ „კომუნისტის“ საგუშაგომ წალკის რაიონის დამამზადებლები მკაცრად გააკრიტიკა უხარისხო კარტოფილის მომზიდველებთან დაკავშირებით. კრიტიკის შემდეგ ერთგვარად გაუმჯობესდა ხარისხი, მაგრამ შემოწმების დღეს წავაწყდით წალკიდან და ახალქალაქიდან შემოტანილ 40 ტონამდე უხარისხო და უსტანდარტო პროდუქციას, რომელიც ხანგრძლივად არ შეინახება. მართალია, წალკელებმა კარტოფილის ზამთრის მარაგში შენახვის საგეგმო დავალება შეასრულეს, მას ახლა ვალდებულებების ანგარიშში გზავნიან, მაგრამ ხშირად უხარისხოს. აი კომბოსტო კი უკეთესი აქვთ.

უხარისხო კომბოსტოს გზავნიან გორის, კასპის და განსაკუთრებით ქარელის საზოგადოებრივი მეურნეობები. 6 ნოემბერს ქარელის რაიონიდან შემოზიდული 6 მანქანა კომბოსტო უკანვე დააბრუნეს, რადგან უხარისხო და მწნილადაც კი გამოუსადეგარი იყო.

რაკი მწნილი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გასულ წლებში საზოგადოებრივ მეურნეობებს დიდძალი მდარე ხარისხის პროდუქცია უბრუნდებოდათ. წლეულს კი კომბოსტოს ის პარტია, რომელიც ხანგრძლივად არ შეინახება, მწნილად იდება. მწნილი სარეალიზაციოდ ეგზავნება დედაქალაქის სავაჭრო ქსელს.

როგორც კომბინატის დირექტორის მოადგილემ გ. გეწაძემ და მთავარმა ტექნოლოგმა ჯ. ჟღენტმა გვითხრეს, წლეულს მომხმარებელი საგეგმო 2 ათასი ტონის ნაცვლად მიიღებს ქართული და რუსული ტექნოლოგიით შექმნილ 4 ათას ტონაზე მეტ კომბოსტოს მწნილს, რადგან ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება დიდია.

ზამთრის მარაგისათვის დაიწყო აგრეთვე საცავებში საკვები ჭარხლის ჩაწყობაც. 1350 ტონიდან დღემდე ჩაწყობილია 403,5 ტონა. მისი შემოზიდვის და დაბინავების ტემპის გაძლიერება მართებთ მცხეთის, ხაშურის, გორის, გარდაბნის, კასპისა და მარნეულის რაიონებს. კვლავ ჩამორჩება ქარელის რაიონი.

მალე დაიწყება ზამთრისთვის სტაფილოს დაბინავება. კომბინატი მზად არის ამ საქმისათვის. ახლა ჯერი მიწათმოქმედებსა და დამამზადებლებზეა, მათ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ თბილისისა და რუსთავის მშრომელები ზამთარში ხარისხოვანი ბოსტნეულით მარაგდებოდნენ.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1985 წლის 10 ნოემბერს 78 წლისა გარდაიცვალა რესპუბლიკის თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, 1940 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

გივი დიმიტრის ძე ჯავახიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა გ. დ. ჯავახიშვილის დამკრძალავი კომისია ამხ. ო. ე. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით.

გ. დ. ჯავახიშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა: ასამუშავებელი კომპლექსი წლის ბოლომდე უნდა ამოქმედდეს!

(დასასრული)

წარმოების გაშლის პროცესში საჭიროა სახალხო მეურნეობაში მომუშავე ავტომატარებლების ტექნიკური მომსახურების გაძლიერება და სრულყოფა. რესპუბლიკაში უკვე შეიქმნა და მოქმედებს 5 საყრდენი სარემონტო პუნქტი, 34 ასეთი პუნქტი ფუნქციონირებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარესა და ოლქში. უნდა ამაღლდეს მათი მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, მოგვარდეს სათადარიგო ნაწილებით და დეტალებით შეუფერხებელი მომარაგება.

ძირითადი მოწყობილობა მიღებული და დამონტაჟებულია. წლის დამლევამდე ოპერატიულად უნდა გაიმართოს 118 ჩარხი და 15 ავტომატური ხაზი. მაგრამ მას შემდეგ, რაც საამქროებიდან წავლენ მემონტაჟეები და გამმართველები, მყისვე უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ ახალი ტექნოლოგიური კომპლექსები. ამის გაკეთება მომზადებული კადრების გარეშე ძნელია. სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მწვავედ და პრინციპულად დაისვა ასამოქმედებელ საწარმოთა კვალიფიციური მუშაკებით დაკომპლექტების საკითხი. აღინიშნა, რომ მთლიანად არ გამოიყენება სპეციალისტების როგორც ადგილზე, ისე დარგის მონათესავე საწარმოებში სწავლების შესაძლებლობანი. ახლა 2800 კაცი ეუფლება ახალ ჩვევებს, ახალ პროფესიებს, მაგრამ დღემდე იგრძნობა მეელექტრონეების, ელექტრიკოსების, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით განახლებული წარმოებისათვის უაღრესად საჭირო ზოგიერთი სხვა პროფესიის მუშაკების სერიოზული დეფიციტი.

ავტოქარხნის რეკონსტრუქციამ შეიძლება გამოიწვიოს და უნდა გამოიწვიოს კიდეც სერიოზული სოციალური ძვრები.

არ შეიძლება ყურადღების გამახვილება მარტო საწარმოო სიმძლავრეებზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბინების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ობიექტების მშენებლობას. ამავე დროს აღინიშნა, რომ ამ სფეროში მშენებლები არ ჩქარობენ გეგმების შესრულებას, ბევრი სოციალური მშენებლობა შორს არის დამთავრებისაგან, თუმცა ეს ყველა ვადა გავიდა. სერიოზულად ჩამორჩა პიონერული ბანაკის მშენებლობა ქობულეთში, როგორც ჩანს, გარდაუვალია ავრალი ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზეც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მკაცრი, პრინციპული შეფასება მიეცა გამოვლენილ ნაკლოვანებებს. აღინიშნა, რომ ასამოქმედებელი კომპლექსის მშენებლობის დასამთავრებელი სამუშაოების ტემპი საკმარისად ვერ ჩაითვლება. ამასთან დაკავშირებით დაისახა ახალი, უფრო მკაცრი გრაფიკი. გათვალისწინებულია, რომ უკვე ნოემბრის შუა რიცხვებისათვის დამთავრდეს ყველა სამშენებლო სამუშაო ასაწყობ-ჩასაბარებელი წარმოების დარჩენილ უბანზე, დეკემბრის დამდეგისათვის — საბრუნავი წყალმომარაგების მოედნებზე, სამსხმელო საამქროების ბლოკის ზოგიერთ ობიექტზე — აქ წლის დამლევამდე უნდა შესრულდეს სულ ცოტა 200 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მშენებლები მოვალენი არიან დაძლიონ ჩამორჩენა საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალ ავტომატარებელს კარგი საექსპლოატაციო მახასიათებლები აქვს. საჭიროა, რომ იგი მთელი ძალით, მოუცდენლად, შეუფერხებლად მოქმედებდეს ქვეყნის მეურნეობებში. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილზევე მისი ტექნიკური მომსახურების სრულყოფას, სათადარიგო ნაწილებით ჯეროვან მომარაგებას.

ასამოქმედებელი კომპლექსის უთუო გადაცემა საექსპლოატაციოდ მშენებლებისა და ავტოქარხნელების ღირსების საქმეა. იგი უნდა გახდეს მნიშვნელოვანი შრომითი ნობათი მომავალი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის. მაგრამ, მუშაობის ტემპს როცა ვაჩქარებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პარალელურად დაუცხრომლად, ყოველდღიურად უნდა ვწყვეტდეთ პრობლემებს, რომლებიც ქუთაისური მარკის მქონე ავტომატარებლების დიდი საიმედოობის გზაზე დგანან. სწორედ ამიტომ საწარმოს კომუნისტები მოვალენი არიან შეუწყნარებლობის ვითარება შეუქმნან წუნისმკეთებლებს, დისციპლინის დამრღვევებს, მუდმივი კონტროლი დაუწესონ საკონსტრუქტორო სამსახურების, სხვა საინჟინრო ქვეგანაყოფების საქმიანობას, რომლებზეც გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული ახალი მანქანების ხარისხი.

ბევრი რამ არის დამოკიდებული მომიჯნავე დარგების მუშაკებზეც, საჭიროა უმოკლეს ვადებში დავძლიოთ არსებული უწყებრივი ბარიერები, უზრუნველვყოთ მოწყობილობის გამართვის, მისი ამოქმედების ზუსტი რიტმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გამსვლელ სხდომაზე განისაზღვრა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარების კონკრეტული ღონისძიებანი. (საქინფორმი)

სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. აქ თითოეულ საამქროში, უბანზე, ცვლაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. შრომით მეტოქეობაში დაწინაურდნენ საბეჭდი ფირფიტების საამქროს ბურღვის უბნის მბურღავი ქალები. მათ შორის განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევს ლაურა ჩადუნელი, მის მიერ დამზადებული პროდუქცია მუდამ მაღალი ხარისხისაა, იგი ყოველდღიურ ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: მბურღავი ლაურა ჩადუნელი.

ა. საკოვის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პლენუმი

გაიმართა პარტიის შუახევის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიის შუახევის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა მ. ა. ჭაღალიძე.

საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ი. რ. ხიმშიაშვილი, რომელიც პარტიის ხულოს რაიკომის მეორე მდივნად მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ხანგრძლივი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. ლევან გრიგოლის ძე ვარდოსანიძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ჯილდოები — ღირსეულთ

ვორონეჟიდან ელბამდე ომის ქარცეცხლიანი გზებით იარეს ცოლ-ქმარმა კოპილოვებმა. პავლე ივანეს ძეს, რუსეთის ფედერაციის კალუგის ოლქის მკვიდრს, ომმა დნეპროპეტროვსკში მოუსწრო, სადაც იგი ვადიან სამსახურს გადიოდა, ხოლო ნადეჟდა დანიელის ასულს — ყაზახეთის აქტიუბინსკის ოლქის მცხოვრებს — თბილისში, კავშირგაბმულობის მუშაკთა კურსებზე. ბედმა ისე ინება, რომ ისინი ერთმანეთს მრისხანე 43 წელს შეხვდნენ...

6 ნოემბერს, ოქტომბრის დღესასწაულის წინ, ცოლ-ქმარი კოპილოვები ომის აქტიურ მონაწილეთა ჯგუფთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მიიწვიეს. აქ მათ გადაეცათ I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენები, რომლებიც მათ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცის, თავდადებისა და ვაჟკაცობისათვის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად მიენიჭათ.

დაჯილდოებულთ ორდენები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა ნ. გ. კოპილოვამ, პ. გ. კუპატაძემ, ლ. ნ. ჯვარშეიშვილმა, რ. ნ. ოდიკაძემ გულწრფელი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას ომის წლებში მათი ღვაწლის დიდი დაფასებისათვის, ვეტერანებისადმი მუდმივი მზრუნველობისათვის.

* * *

ამავე დღეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა „სსრ კავშირის სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების სიგელი გადასცა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს ჯ. ი. კახიძეს, რომელსაც ეს წოდება საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭა.

ქიმიის მეცნიერების განვითარებაში სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის, და დაბადების სამოცდაათი წლის გამო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გ. ვ. ციციშვილს გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი.

საქართველოს კამერული ორკესტრის — ხელოვნების საკავშირო ფესტივალის „კიევური გაზაფხულის" მონაწილის მნიშვნელოვანი წვლილი სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური კულტურების დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების საქმეში, მის მიერ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების აქტიური პროპაგანდა აღინიშნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით და ნიშნით. ესოდენ საპატიო ჯილდო კოლექტივს ამ მოძმე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა.

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების სიგელები გადაეცათ კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელ რეჟისორებს ვ. დ. ბახტაძესა და გ. ნ. შენგელაიას, ხოლო „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის" საპატიო წოდებისა — ამ კინოსტუდიის მთავარ მხატვარს გ. ლ. გიგაურს და დამდგმელ მხატვარს დ. გ. თაყაიშვილს.

ამხ. პ. გ. გილაშვილმა ორდენებისა და სიგელების გადაცემის შემდეგ გულთბილად მიულოცა ყველა დაჯილდოებულს.

* * *

ოქტომბრის დღესასწაულის წინ სამშობლოს საპატიო ჯილდოები გადაეცა რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა ჯგუფს. სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფაში მოპოვებული წარმატებებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა თბილისის დამხარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს ვ. ვ. დიდიძეს, ხოლო III ხარისხის შრომითი დიდების ორდენი — თბილისის სავაგონო დეპოს მსინჯველს ა. ი. ღვინიაშვილს. დარგის თავგამოჩენილ მუშაკთა შორის არიან აგრეთვე სამტრედიის სადგურის სამანევრო დისპეტჩერი ზ. ი. ჩხაიძე, თბილისის საკვანძო სადგურის მატარებლების შემადგენელი ზ. მ. ავაქიშვილი, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე თ. ზ. კოხრეიძე, რომლებიც დაჯილდოვდნენ მედლებით „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის".

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენი გადაეცა აგრეთვე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" თბილისის მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხნის რადიოაპარატურის მარეგულირებელს ჟ. ჯ. ხვადაგიანს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას ეს ჯილდო მიენიჭა სამხრეთ უკრაინის ატომური ელექტროსადგურის მეორე … მშენებლობის დროს მოპოვებული წარმატებებისათვის.

რესპუბლიკის … ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წვლილი ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აღინიშნა. ეს ჯილდო, აგრეთვე რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები გადაეცათ აგრეთვე სოფლის მეურნეობის, კაპიტალური მშენებლობის მუშაკებს, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენლებს.

ორდენები, მედლები და სიგელები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ.

* * *

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმის სარიტუალო დარბაზში, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული და ოლქის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების სიებში სამუდამოდ შეტანილი მეომრების პორტრეტებთან მოიყარეს თავი დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა. მათ, ვისი ახალგაზრდობის წლებმა ბრძოლების ქარცეცხლში ჩაიარა, სამშობლომ ჯეროვანი პატივი მიაგო, დააჯილდოვა I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენებით გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და ვაჟკაცობისათვის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად.

ორდენების გადაცემისას საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა, გენერალ-მაიორმა ვ. ლ. შარაშენიძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა, შემდგომი წარმატებანი დიდ და კეთილშობილურ საქმეში — ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში.

შეკრებილთა აზრები და გრძნობები გამოხატა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, გადამდგარმა უფროსმა ლეიტენანტმა გ. ვ. იაქაშვილმა.

დაჯილდოებულთა სახელით მან მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ვეტერანთა მხედრული ღვაწლის მაღალი შეფასებისათვის.

(საქინფორმი).

მოგითხრობთ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატებზე

ისინი სამაგალითონი არიან

დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის წინ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭა 290 წარმოების მოწინავეს და ნოვატორ მუშებს, კოლმეურნეებს, ოსტატებს, ინჟინრებს, რომლებმაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს შრომაში, მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, — თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. პ. ბირიუკოვამ.

ყველა მათგანი კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეა. ქვეყანამ დიდი შეფასება მისცა მათ სიმტკიცეს, მიზანდასახულობას, თავდადებას შრომის უდიდესი ნაყოფიერების მიღწევაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების რეზერვების ძიებაში.

სახელმწიფო პრემიების ლაურეატები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, 97 ავტონომიურ რესპუბლიკას, მხარესა და ოლქს, 25 ეროვნებას.

ყველაზე დიდ ჯგუფს — 161 კაცს — კვლავ შეადგენენ ბრიგადირები. ისინი წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის ყველა წამყვან დარგს, საქმით ცხადყოფენ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის უპირატესობებს.

იმათ შორის, ვისაც მიენიჭა საპატიო ჯილდო, არის მანქანათმშენებლობის მუშაკთა დიდი ჯგუფი. ეს დარგი, როგორც ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, საკვანძო როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელებაში.

216 რაციონალიზატორული წინადადებაა ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის მეინსტრუმენტე ზინკელის ვიქტორ ალექსანდრეს ძე გრუზდევის ანგარიშზე. მათგან ნახევარზე მეტი უკვე დაინერგა წარმოებაში და 206,5 ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტი მოგვცა. მას მინიჭებული აქვს „ქალაქ მოსკოვის საუკეთესო რაციონალიზატორის" წოდება.

ვერ ჩამოთვლი, რამდენი მიწა გადახნეს „მინსკის სატრაქტორო ქარხნის" სახელგანთქმული მარკის ტრაქტორებმა, რომელთა შექმნაში თავისი შრომითი წვლილი შეიტანა ვლადიმერ თევდორეს ძე დოლგოპიატმა, საწარმოო გაერთიანება „მინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის" ელექტროღუმლის მეფოლადემ. პირადად მან წამოაყენა ყურადსაღები წინადადებანი, რომელთა დანერგვის შედეგად შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიის დაზოგვა, ხარისხის გაუმჯობესება, ჩქაროსნული დნობის დანერგვა, კოლეგების შრომის პირობების გაუმჯობესება.

ახალი ტექნიკის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის გამიზნული ბევრი საგულისხმო თაოსნობის ავტორები არიან მეტალურგიის, ქიმიის, მრეწველობის სხვა დარგების მოწინავე მუშაკები. ასეთ სიახლეთა შორის არის თხევად აბაზანაში სულფატის ნედლეულის დნობის ტექნოლოგიაც. იგი წარმატებით გამოსცადა და აითვისა ნორილსკის ა. პ. ზავენიაგინის სახელობის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ბრიგადამ, რომელსაც ლაურეატი ვალერი ლეონიდეს ძე ბიკოვი ხელმძღვანელობს. ტექნოლოგია და მისი განხორციელებისათვის განკუთვნილი აგრეგატი დაპატენტებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ბრიგადა დღენიადაგ ეძიებს აგრეგატის მწარმოებლობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ახალ გზებს. მაგალითად გვიჩვენებს თვით ბრიგადირი — მის ანგარიშზეა ბევრი ეფექტიანი წინადადება, რომლებიც ხელს უწყობენ ღუმლის საპროექტო სიმძლავრის 1,5-ჯერ გადიდებას.

მაღალი ჯილდო მიენიჭათ წარმოების მოწინავეებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაციაში. მისი განხორციელებისათვის ბრძოლის მოწინავე მიჯნა დასავლეთ ციმბირზე გადის.

თხუთმეტი წლის წინათ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ციმბირის მიწისქვეშა საკუჭნაოების ათვისებას ზინაიდა სიმონის ასულმა ივანოვამ, ტიუმენის ოლქის საწარმოო გაერთიანება „სურგუტტრანსგაზის" ნავთობისა და გაზის მოპოვების ოპერატორმა. მან აქ პოვა მოწოდება, აქ გახდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. როგორც ყველაზე გამოცდილ მრეწავს, მიმართავენ მას რჩევა-დარიგებისათვის ამხანაგები, ახალგაზრდა მუშები, ზოგჯერ კი მეცნიერებიც. ასე იყო ვინგაპურის გაზის კომპლექსური მომზადების დანადგარის დამონტაჟებისა და ასამოქმედებელ-გასამართავი სამუშაოების დროს, რომლებშიც მონაწილეობა მას შესთავაზეს ტიუმენის გაზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა. მოწინავე ოპერატორი გახდა დარგში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი. ციმბირის მიწის ბედთან წილნაყარია ზინაიდა სიმონის ასული ივანოვა, ღირსეულად რომ ამართლებს თანამემამულეთა ნდობას, რომლებმაც იგი ნოიაბრსკის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

1,5 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი — ასეთი შედეგით ეგებება ხუთწლედის ფინიშს ეკიპაჟი, რომელსაც ხელმძღვანელობს საწარმოო გაერთიანება „ეკიბასტუზნახშირის" საბადო „სევერნის" ექსკავატორის მემანქანე ანატოლი ვასილის ძე ზელენკოვი. კოლექტივის ხელმძღვანელმა შეძლო შეეფასებინა უპირატესობანი, რომლებსაც გვაძლევს ბრიგადული იჯარა, შეძლო საქმის სამსახურში მათი ჩაყენებაც. და თვითონვე შეეცადა, რომ ეკიპაჟს მუშაობაში გამოეყენებინა შრომის ახალი, მოწინავე ხერხები და მეთოდები. შემთხვევითი როდია, რომ კოლექტივმა გაერთიანებაში საუკეთესოს სახელი დაიმკვიდრა.

ლაურეატის საპატიო წოდებით აღინიშნა აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა თავდადებული შრომა.

მაგალითად, პოლტავის ოლქის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებულმა რაზმმა, რომელსაც ვლადიმერ ანდრიას ძე სიცკარი ხელმძღვანელობს, 520 ჰექტარ ფართობზე მიაღწია საკვები ჭარხლის უხვ მოსავლიანობას — ჰექტარზე 902 ცენტნერს, რაც 3,5-ჯერ მეტია მთლიანად ოლქში მიღწეულ მოსავლიანობაზე, შაქრის ჭარხლისა — ჰექტარზე 559 ცენტნერს, რაც 2,7-ჯერ მეტია საშუალო საოლქო შედეგზე, ამასთან ერთიორად ნაკლები იყო ცენტნერის თვითღირებულებაც.

ამ დღეებში სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავს, ოთხ ლენინის ორდენს და „საპატიო ნიშნის" ორდენს, რომლებითაც აღინიშნა აზერბაიჯანის სსრ ჟდანოვის რაიონის ს. შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მებამბის ახმედ დადაშის ძე ახმედოვის შრომითი გზა, დაემატა კიდევ ერთი საპატიო ჯილდო — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. 58,5 ცენტნერ ხამ ბამბას იწევს იგი ჰექტარზე. მაგრამ მოსავალი შეიძლება და კიდეც უნდა იყოს უფრო უხვი. როგორ გახადოს მიწა უფრო ბარაქიანი? სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას მიიჩნევს თავის მთავარ პარტიულ მოვალეობად აზერბაიჯანის კომპარტიის ჟდანოვის რაიკომის წევრი ა. დ. ახმედოვი.

შეჯიბრების მეწინავეთა შორის არიან როვნოს ოლქის გლინოვკის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინის" მანქანური წველის ოპერატორი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ალექსანდრა ფილიპეს ასული კონდრატიუკი, რომელმაც 1984 წელს საშუალოდ ძროხაზე მიიღო 6679 კილოგრამი რძე; ოშის ოლქის ალაისკის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სარქალი რისბაი ჟაპიშევი, რომელმაც ყოველ ას ნერბზე 186 ბატკანი მიიღო და თითოეულ ცხვარზე — 6,1 კილოგრამი მატყლი; საქართველოს ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ბრიგადირი ალექსი კოლას ძე ვარადაშვილი, რომელმაც მოიწია ყურძნის უხვი მოსავალი — ჰექტარზე 121 ცენტნერი; ესტონეთის კოლმეურნეობა „არავეტეს" მემანქანე-ტრაქტორისტი არვო ხუგოს ძე ხეინსაარი, რომელიც სტაბილურად 1,5-2-ჯერ აჭარბებს დავალებებს როგორც ნიადაგის დამუშავების, ისე მოსავლის აღების დროს. ყველა მათგანს აერთიანებს მუდმივი მისწრაფება, რაც შეიძლება უფრო დიდი წვლილი შეიტანონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში.

ხე-ტყის მრეწველობის მშრომელებისათვის სამაგალითოა გაერთიანება ტომსკ „ხეტყემრეწვის" პარაბელის ტყის მრეწველობის მეურნეობის კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ალექსი ივანეს ძე შიპკო ხელმძღვანელობს.

საბჭოთა ხალხის მხურვალე მოწონება დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ახლახან მიღებულმა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსურმა პროგრამამ. მის განხორციელებაში, საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის გადიდების დამატებით შესაძლებლობათა გამონახვაში დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატების გამოცდილებას.

მიმდინარე წლის იანვარში თავისებური იუბილე აღნიშნა ნელი ანატოლის ასულმა გუსიხინამ — ვოლგოგრადის ოლქის ა. ნ. კოსიგინის სახელობის კამიშინის ბამბეულის კომბინატის მრთველმა. ამ მომენტისათვის მან შეასრულა პროგრამა, რომელიც ათი წლიური საგეგმო დავალების ტოლფასია. მეთერთმეტე ხუთწლედის დამკვრელი ნ. ა. გუსიხინა კომბინატში პირველი გადავიდა 1119 თითისტარის მომსახურებაზე, რაც ერთიორად აღემატება დარგობრივ ნორმას.

ლაურეატები — ტრანსპორტის მუშაკები გვიჩვენებენ მგზავრთა ხარისხიანი მომსახურების ნიმუშს, ამყარებენ სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვაში სისწრაფისა და ტვირთამწეობის რეკორდებს. დიდტვირთიანი მატარებლების ტარების ოსტატად სამართლიანად ითვლება ყამირის რკინიგზის ატბასარის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე დემისინ ბეკბულატის ძე ალკენოვი. მისი უშუალო მონაწილეობით ამუშავებდნენ ასეთი მატარებლების შექმნის ახალ ტექნოლოგიას და მათი ტარების ყველაზე რაციონალურ რეჟიმს.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა დიდ რაზმს შეადგენენ მშენებლები. ბევრმა ლენინგრადელმა, რომლებმაც ახალმოსახლეობა იზეიმეს, კეთილი სიტყვით მოიხსენიეს მთავარლენინგრადმშენის № 2 სახლთსაშენებელი კომბინატის დიდპანელიანი სახლთმშენებლობის საპროექტო-სამშენებლო გაერთიანების მღებავთა ბრიგადირის ვალენტინა ნიკოლოზის ასული კუდრიაშოვას გარჯა. თუმცა ასეთ ახალმოსახლეთა ჩამოსვლა ძნელი როდია: კოლექტივმა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, გასული წლის 5 დეკემბრისათვის შეასრულა ხუთწლედის დავალება და გეგმის გადაჭარბებით მოსაპირკეთებელი სამუშაოები განახორციელა 292 ბინაში. თავიანთი შრომის ხარისხის შეფასება მღებავებმა თვით ახალმოსახლეებს მიანდეს: ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო ლენინგრადში მიმდინარე ექსპერიმენტში, რომლის თანახმად, ბინები მოქალაქეთა შეკვეთით მოაპირკეთა.

საუკეთესოთაგან საუკეთესონი გახდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატები. მათი შრომით ამაყობენ, მათ უსწორდებიან მხარს. ყველა დაჯილდოებულს აერთიანებს თავისი მოვალეობის ღრმა შეგნება, ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობა. ისინი შეურიგებელნი არიან მოდუნებისადმი, შრომის დისციპლინის დარღვევებისადმი, გვიჩვენებენ დიდი შეგნების, ორგანიზებულობის, რწმენის, ინიციატივისა და იდეურობის მაგალითს. წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს მაღლა უჭირავთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დროშა. (საქდესი).

სიმართლისა და შთაგონების ხელოვნება

სოციალისტური ცხოვრების სიმართლის დამამკვიდრებელ მხატვრულ შემოქმედებაში ღირსეულ ასახვას პოულობს ახალი ამოცანები, რომლებსაც დღეს პარტია, ხალხი, ქვეყანა წყვეტენ. ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც უფრო სრულად შეესაბამება დროის მოთხოვნებს, ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს, გამოხატავს მის ნებას, გრძნობებსა და აზრებს, აღინიშნა სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო პრემიებით, რომლებიც ტრადიციისამებრ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავისათვის მიენიჭება. ახლანდელ კონკურსზე წარმოდგენილ ნამუშევართა განხილვა მიმდინარეობდა ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის — სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აღმავლობის, ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში განახლების ვითარებაში. უმაღლესი პოზიციებიდან შეფასდა ნაწარმოებები, რომლებიც მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ამ წარმომადგენლობით დათვალიერებაზე იყო წარმოდგენილი.

ლიტერატურის დარგში პრემია მიენიჭა პოეტს კ. ვანშენკინს, რომლის შემოქმედება უშუალოდ უკავშირდება დიდ სამამულო ომს. პოეტის კალამს ეკუთვნის ლექსები, რომლებმაც საყოველთაო-სახალხო აღიარება მოიპოვა: „მე შენ მიყვარხარ, სიცოცხლევ". პრემიით აღნიშნული წიგნის სახელწოდებაში „ადამიანის ცხოვრება", რომელშიც შევიდა ბოლო წლების საუკეთესო ნაწარმოებები, იგივე ოპტიმისტური პათოსი ჟღერს.

სულიერად მდიდარი, ღრმა გრძნობებისა და მაღალი აზრების ადამიანს შეასხა ხოტბა მეორე ახალმა ლაურეატმა — ა. დიმენტიევმა. მგზნებარე მოქალაქეობრიობით და გულწრფელობით არის გამსჭვალული მისი წიგნი „აზარტი", რომელიც პრემიით აღინიშნა. პოეტის სიკეთით გამსჭვალულ, ნათელ ლექსებში ცოცხლობს სიყვარულის წარუვალი მშვენიერებაც, ცხოვრების ნეგატიური მოვლენებისადმი — მეშჩანობის, მომხვეჭელობის, უზრდელობის. სიცრუისადმი — ყოველივე იმისადმი უკომპრომისო დამოკიდებულებაც, რაც ხელს გვიშლის ცხოვრებასა და მუშაობაში.

თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო თემას — მშვიდობისათვის ბრძოლას მიეძღვნა უკრაინელი მწერლის ვ. კოროტიჩის პუბლიცისტური რომანი „სიძულვილის სახე". იგი ასახავს თანამედროვე ამერიკაში მწვავე წინააღმდეგობებს, მოგვითხრობს პროპაგანდის მძლავრ მანქანაზე, რომელიც თესავს სიძულვილს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი, ამერიკელთა სურვილზე შეიტყონ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ. აანალიზებს რა კაპიტალიზმის იდეოლოგიის არსს და უპირისპირებს მას კომუნისტურ იდეალებს, ავტორი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც აჩაღებს ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას.

ასევე მგზნებარედ იმაღლებს ხმას მშვიდობის დასაცავად მესაერთაშორისო მწერალი ვ. ოვჩინიკოვი თავის წიგნებში, რომლებიც აღინიშნა პრემიით მხატვრული პუბლიცისტიკის ნაწარმოებებისათვის. მისი „ცხელი ფერფლი" — ეს არის გამაფრთხილებელი გახსენება XX საუკუნის ისტორიის ყველაზე საშინელი და ტრაგიკული გაკვეთილის — ატომური იარაღის შექმნისა და გამოყენების შესახებ. სხვა ხალხების ისტორიის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისადმი ავტორის ღრმა პატივისცემა იგრძნობა წიგნში „საკურა და მუხა", რომელიც შეიქმნა იაპონიისა და დიდი ბრიტანეთის ცხოვრების მასალაზე.

გამარჯვების 40 წლისთავის წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით აღინიშნულ ნაწარმოებებში მკაფიოდ გაჟღერდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობის თემა. ბელორუსი დრამატურგის ა. დუდარევის პიესა „რიგითები", რომელიც ქვეყნის მრავალ თეატრში დაიდგა, ჟღერს როგორც პოეტური რეკვიემი მილიონობით ჯარისკაცისა, რომლებმაც არა მარტო მოიპოვეს გამარჯვება, არამედ ამ ბრძოლაში შეინარჩუნეს კიდეც ადამიანობა, ჩვენი იდეალების გამარჯვების რწმენა. ავტორის ჩანაფიქრთან ყველაზე ახლოს იყო ბელორუსიის ი. კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმა, რომელიც სამართლიანად აღინიშნა მაღალი ჯილდოთი.

ლაურეატი გახდა მეორე ბელორუსი ოსტატიც — კინოდოკუმენტალისტი ვ. დაშუკი. ადამიანთა ცოცხალი ნაამბობი დაუდო საფუძვლად მან სურათებს „მე მოკლული სოფლიდან ვარ" და „ომს ქალის სახე არა აქვს". იხსენებს რა 627 ბელორუსული სოფლის ტრაგედიას, მცხოვრებლებიანად რომ გადაბუგეს, ქალების ვაჟკაცობას, სუსტი მხრებით რომ გადაიტანეს ფრონტული ცხოვრების მთელი სიმძიმე, ავტორი გულის მთელი მგზნებარებით პროტესტს აცხადებს ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, მტკიცედ ამკვიდრებს ადამიანის ბედნიერების, მშვიდობის, სიცოცხლის უფლებას.

ომის მოგონებით გამოწვეული მწვავე ტკივილით არის გამსჭვალული კაუნასის მე-9 ფორტის მემორიალური კომპლექსი. ორგანულად დაუკავშირეს რა ისტორიული რელიკვიები ახალ პლასტიკურ და მხატვრულ ელემენტებს, ავტორებმა შექმნეს ნაწარმოები, რომლებიც ემოციური ზემოქმედების ძალით შეიძლება შევადაროთ გმირობითა და სევდით გამსჭვალულ ისეთ ანსამბლებს, როგორიცაა ხატინი, პირჩიუპისი, სალასპილსი.

დროთა კავშირი მკვეთრად იგრძნობა მხატვრულ ფილმში „ნაპირი", რომლის რეჟისორები არიან ა. ალოვი და ვ. ნაუმოვი. რთული ეკრანული მოთხრობა, რომელშიც ერთმანეთს გადასჭდობია ადამიანთა ბედი, ფრონტული ცხოვრება და დღევანდელობა, ამკვიდრებს უბრალო და ნათელ აზრს: ადამიანი დაბადებულია ბედნიერებისა და აღმშენებლობისათვის.

სოციალურად აქტიური გმირის სახე, რომელსაც შეუძლია გაიზიაროს სხვისი ტკივილი, შექმნილია სურათში „ონავრები". აქ აღძრულია აღზრდის, ზნეობის, ბავშვების ბედისათვის უფროსების პასუხისმგებლობის მწვავე პრობლემები. სურათი გამსჭვალულია ადამიანებისადმი აქტიური, ქმედითი სიყვარულით, რომელსაც — და ეს იგრძნობა ფილმში — მუდამ განიცდიდა ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასული რეჟისორი დ. ასანოვა.

ჯილდო მიენიჭა ე. შენგელაიას სურათს „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი". მახვილგონიერ კომედიაში ქართველი კინემატოგრაფისტები ამათრახებენ ნეგატიურ მოვლენებს — უმოქმედობას, ფუჭ ლაყბობას, რომელიც მოჩვენებითი აქტიურობით არის შენიღბული. ვფიქრობთ, რომ მუშაობის საქმიანი სტილისათვის ბრძოლაში, რომელსაც მიზნად გვისახავს პარტია, ეს ფილმი ბასრი იარაღი იქნება.

პრემიით აღინიშნა მთელი რიგი ნამუშევრები სახვითი ხელოვნების დარგში. ეს არის პ. ოსოვსკის ფერწერული ისტორიული ტილოები, რომლებიც ასახავენ ყველაზე ძვირფას ადგილებსა და მოვლენებს ჩვენი ქვეყნის ბიოგრაფიაში.

ეს უბრალო და სადა ნაწარმოებები გვიზიდავს შინაგანი დაძაბულობით, აღიქმება, როგორც სამშობლოს — მშვენიერი, ამაყი და მარადიული სამშობლოს შესახებ პოეტური ნაამბობი. ეს არის აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ბ. უგაროვის სურათი „აღორძინება".

ქვეყნის კულტურული ცხოვრების მოვლენა გახდა ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ევგენი ონეგინი". კოლექტივმა მუსიკალურ ხელმძღვანელთან ი. ტემირკანოვთან ერთად შეძლო მაქსიმალურად მიახლოებოდა პ. ჩაიკოვსკის ქმნილებას, გამოევლინა მისი შედევრის ნიუანსები. სპექტაკლი გვხიბლავს სამამულო კლასიკის ცოცხალი ტრადიციების ჰარმონიული შეხამებით, ინტერპრეტაციის თანამედროვეობით, შესანიშნავი ანსამბლით. პრემია მიენიჭა სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის შემქმნელსა და უცვლელ ხელმძღვანელს ი. მოისეევს, რომლის დაუცხრომელმა შემოქმედებითმა ძიებამ, მაღალმა ქორეოგრაფიულმა კულტურამ შესაძლებლობა მისცა ანსამბლს ცალკეული ნომრებიდან დიდ ქორეოგრაფიულ სპექტაკლებზე გადასულიყო. პრემია მიენიჭა ნიჭიერ კომპოზიტორს ვ. გავრილინს, რომლის ნაწარმოებებმა ფართო აუდიტორია იპოვეს. მისი საგუნდო სიმფონია „ზარების რეკვა", რომელიც ვ. შუქშინის ნაწარმოებებითაა შთაგონებული, ღრმად ხალხური, თანამედროვე მსოფლშეგრძნებით, რუსული სიმღერებით, ნამდვილი სილამაზითაა გამსჭვალული.

ლაურეატთა რიგებს შეემატნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. პ. ბერდნიკოვი — მისი გამოკვლევა „ა. პ. ჩეხოვი. იდეური და შემოქმედებითი ძიებანი" (მე-3 გამოცემა) სერიოზული წვლილია დიდი რუსი ჰუმანისტი მწერლის სულიერი ბიოგრაფიის დამუშავების საქმეში; ყირგიზი მომღერალი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. მინჟილკიევი — საოპერო პარტიების ნიჭიერი შემსრულებელი. იგი საკონცერტო ესტრადაზეც ფილიგრანულ ოსტატობასა და მაღალ ვოკალურ კულტურას გვიჩვენებს: რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი რ. ტაზეტდინოვი, რომელმაც თათრეთის გ. ქამალის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე შექმნა მუსა ჯალილის გმირული სახე და განასახიერა ჩვენი თანამედროვეობისა და კლასიკური რეპერტუარის პიესების პერსონაჟთა ხასიათები.

პრემიით აღინიშნა ორი დიდი ქალაქთსამშენებლო სამუშაო. ინდუსტრიული სახლთმშენებლობისა და სტანდარტიზაციის ელემენტები ორგანულადაა შეხამებული კომპლექსში, რომელმაც გააერთიანა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის, მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სამეცნიერო ცენტრი და საცხოვრებელი რაიონი ნოვოსიბირსკთან. მისმა შემქმნელებმა მარჯვედ გადაწყვიტეს რეგიონის პირობების გათვალისწინებით ფუნქციური, სოციალური და არქიტექტურული ამოცანები. მეორე პრემია მიენიჭათ უკრაინელ ხუროთმოძღვრებს კიევში ოქტომბრის რევოლუციის მოედნის არქიტექტურისათვის. ეს კეთილმოწყობისა და გამწვანების ნიმუში კიეველებისა და ქალაქის სტუმრებისათვის მიმზიდველ ცენტრად იქცა.

სასიამოვნოა ლაურეატთა შორის მხატვრული ფილმის „შვიდი პატარა ჯარისკაცის" ავტორთა კოლექტივის დასახელება. ეს ფილმი განკუთვნილია ყველაზე პატარა მაყურებლისათვის. დაჯილდოებულთა შორისაა აგრეთვე ავტორთა კოლექტივი მხიარული და გონებამახვილური მულტფილმების სატელევიზიო ციკლისა „კატა ლეოპოლდის ფათერაკები", რომელიც დიდად მოსწონთ ბავშვებსაც და უფროსებსაც.

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით ცალკე აღინიშნა მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის მხატვრულ-სპორტული პროგრამის შემქმნელთა დიდი ჯგუფი. ნიჭიერმა რეჟისორებმა, ბალეტმაისტერებმა, მხატვრებმა, მუსიკოსებმა მძლავრ ანსამბლად გააერთიანეს ათიათასობით პროფესიონალი და თვითმოქმედი მსახიობი და სპორტსმენი და მასობრივ ფეერიულ სანახაობაში — გაქანებით, გამომგონებლობითა და შემოქმედებითი ფანტაზიით არნახულ სანახაობაში — ხელოვნების მკაფიო საშუალებებით გამოხატეს ფესტივალის დევიზი „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის!".

საბჭოეთის მრავალეროვნული კულტურის წარმომადგენელ ახალ ლაურეატთა შემოქმედება მნიშვნელოვანი წვლილია საზოგადოების სულიერ არსენალში. მაღალი ჯილდოთი აღნიშნული მათი ნაწარმოებები დამაჯერებლად გვიჩვენებენ ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირს ხალხის ცხოვრებასთან, მის საზრუნავთან და მისწრაფებებთან, იმ ისტორიულ ამოცანებთან, რომლებსაც იგი წყვეტს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

გ. მ. მარკოვი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.
(საქდესი).

ამხანაგურ ვითარებაში

9 ნოემბერს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, სოციალისტური ეთიოპიის საგარეო საქმეთა მინისტრს გიორგი ჯოლდი. შეხვედრის დროს განიხილეს ორი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის საკითხები სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მ. ს. გორბაჩოვისა და სსრ კავშირში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად მყოფი ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის მენგისტუ ჰაილე მარიამის მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ ორი ქვეყანა ესწრაფვის რეგულარულად მოაწყონ კონსულტაციები საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე, ხელი შეუწყონ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების კონსოლიდაციას და თანამშრომლობას ბიმთვალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, პლანეტის სხვადასხვა რაიონში დაძაბულობის ლოკალიზაციისათვის, იმპერიალისტური წრეების აგრესიული გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საუბარმა გულთბილ ამხანაგურ ვითარებაში, ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა. (საკდესი).

სსრ კავშირიდან გამომგზავრა

9 ნოემბერს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა ეთიოპის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი. იგი ჩვენს ქვეყანაში მეგობრულ სამუშაო ვიზიტად იყო სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

ეროფორომზე მოსკოვში სტუმარი გაიცალა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძე, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ალექსანდრ. სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

სამშვიდობო დიალოგი

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალურმა ვიზიტმა საფრანგეთში კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ ესწრაფვის საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას. ამ დიდ პოლიტიკურ მოვლენას ეძღვნება სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ინფორმი „მოსკოვი-პარიზი: კონსტრუქციული დიალოგი", რომლის პრემიერაც მოეწყო 6 ნოემბერს მოსკოვის კინოთეატრ „ოქტომბერში".

სურათი ასახავს გულთბილ, გულითად მასპინძლობას, რომელიც ფრანგმა ხალხმა გაუწია მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვს, მის საუბრებს პრეზიდენტ ფ. მიტერანთან. ამ საუბრების დროს მიაღწიეს მორიგებებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი სახელწოდების მეგობრული უთანხმოების შემდგომ გავითარებას. კინოოპერატორმა აღბეჭდეს საბჭოთა ხელმძღვანელის შეხვედრები ფრანგ პარლამენტარებთან, საზოგადოება „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან, მისი ყოფნა საავტომობილო კომპანიის „პეჟოს" ქარხანაში.

სურათი მაყურებელს მოუთხრობს, თუ რა სათუთად ინახავენ ფრანგები მათს ქვეყანაში ვ. ი. ლენინის ყოფნის ხსოვნას. იგი მნახველებს ეპატიჟება პარიზის მარი-როზის ქუჩაზე მდებარე სახლში, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ბინა-მუზეუმში, რომელიც 1909-1912 წლებში რუსი რევოლუციონერების შტაბი იყო. ყოველი პატიოსანი კაცისათვის ძვირფასს ამ ისტორიულ ადგილს ეწვია ვიზიტის დროს მ. ს. გორბაჩოვი, აქ იგი შეხვდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ჟ. მარშეს, საფრანგეთის კომპარტიის სხვა ხელმძღვანელებს.

პარიზისა და მოსკოვის ქუჩებში კინოდოკუმენტალისტები ორი ქვეყნის დედაქალაქების მცხოვრებებს ესაუბრნენ. უბრალო ადამიანები მხურვალედ იწონებენ ამ უმჯობესს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს გამაღლებული შეიარაღების ალაგმვის თაობაზე, ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

სურათი დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში შეიქმნა.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

11 ნოემბერი ● საკდესი იუწყება

◆ მონღოლეთი

რევოლუციური პრესის დღე

ულან-ბატორი. სახალხო მონღოლეთში აღინიშნა რევოლუციური პრესის დღე. ზუსტად 65 წლის წინათ ირკუტსკში ცამბირელი ბოლშევიკების და კომინტერნის წარმომადგენლების დახმარებით გამოუშვეს გაზეთ „მონგოლინ უნენის" (მონღოლეთის სიმართლე) პირველი ნომერი. მონღოლ რევოლუციონერთა ბეჭედვით სიტყვის ორგანოთ ქვეყნის მშრომელებს შორის დიდი ოქტომბრის იდეებისა და საბჭოთა რუსეთთან ძმური კავშირის ფართო პროპაგანდა გაიჩალა, დარაზმა ისინი თავისუფალი და დამოუკიდებელი მონღოლეთისათვის შეიარაღებული ბრძოლისათვის.

ახლა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში შექმნილია თანამედროვე პოლიგრაფიული მრეწველობა, რომელიც 70-ზე მეტი გაზეთისა და ჟურნალის გამოშვების საშუალებას იძლევა. მათი ერთჯერადი ტირაჟი 1,5 მილიონს აღემატება. პერიოდული პრესის გარდა, მონღოლეთში ყოველწლიურად გამოდის დაახლოებით 600 დასახელების 6 მილიონ წიგნზე მეტი.

ქვეყნის პრესა იქცა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლი ხალხის ქმედით იდეოლოგიურ იარაღად სოციალისტური წყობილების განვითარებისა და განმტკიცების ამოცანების ვანხორციელებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის ბრძოლაში.

● ინდოეთი

გააუქმეს სეპარატისტული ორგანიზაცია

დელი. ინდოეთის უშიშროების ძალებმა გამოაშკარავეს და გაუფრენეს ინტაკქეშა სეპარატისტული ორგანიზაცია ჯამუსა და ქაშმირის შტატში. როგორც სრულ ნაგაში გამოსულისას განაკვეთა შტატის პოლიციის გენერალურმა დირექტორმა მ. ჭხანჯრიანმ, მის მონაწილეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მთელი რიგი დიენრსიული აქციებისათვის, მათ შორის ბომბების აფეთქებებისათვის, აგრეთვე პროგოკაციული შინაარსის ფურცლების გავრცელებისათვის.

როგორც ადგილობრივი პრესა მოწმობს, ჯამუსა და ქაშმირში მიმდინარე რეაქციული დაჯგუფებები ფულსა და იარაღს იღებენ პაკისტანის რეჟიმისგან, რომელიც ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებს ამ შტატს.

ფოტოფაქტი

● ინგლისი

ინგლისის დედაქალაქ ქმი ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის ინიციატივით გამართა მძლავრი ომისწინააღმდეგო დემონსტრაცია. ქვეყნის ყველა კუთხიდან დედაქალაქში ჩამოსულმა ათიათასობამდე ინგლისელმა ნაიარა ლონდონის ცენტრალურ ქუჩაში მილიტარისტული წრეების პოლიტიკის წინააღმდეგ პლაკატების ნიშნად, რომლებიც ინგლისს პენტაგონსა და ნატოს მსხვილი ბირთვული ბლაცდარმის როლს აკისრებენ.

სურათზე: დემონსტრანტები ლონდონის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში.

საკდესის ფოტო.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე თეთრი სახლის შენობამ მრავალი რეკონსტრუქცია განიცადა. თითქმის ყოველი ამერიკელი პრეზიდენტი თავისს გემოვნებებსა და სურვილის მიხედვით ცვლიდა ოთახების განლაგებას, ანაწილებდა სამუშაო და საცხოვრებელ ფართობს. როდესაც 1960 წელს თეთრი სახლის მობინადრე ახალგაზრდა ჯონ კენედი გახდა, სამავშო ოთახიც კი მოეწყო, მაგრამ ისტორიული შენობის ყველაზე ძვირად ღირებული რემონტი მაინც პრეზიდენტ რეიგანის მმართველობაზე მოდის — 1983 წელს ჯამუშობის მანიათ შუამყობიერმა ადმინისტრაციამ მილიონ დოლარამდე კაილი, რათა შენობის სარდაფში მოთავსებული ეგრეთ წოდებული სასტუაციო ოთახი უცნო სახელწოდებით დაზეიგის „ელექტროაპარატურის შეღწევისაგან" დაეცვა.

ოთახი გათვალისწინებულია ბაგანგების შემთხვევაში პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ვიწრო წრის შეხვედრა-თათბირებისათვის. როგორც „ამერიკის პრესა იუწყება, ამ დღეებში სასტუაციო ოთახში იქნიათად კრება შექმ; გულმავიწყობით ცნობილ პრეზიდენტს ათასგვარ „შპარგალკებს", ცნობარებს, რეკომენდაციებს უმზადებენ უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრისათვის. სპეციალურად შედგენილ 25 მოხსენებითს ბარათში დაწერილებთ არის აღწერილი ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტი.

ერთი მხრივ, ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ადმინისტრაცია სერიოზულად ემზადება შეხვედრისათვის, რაც ფარველ ოპტიმიზმს ბადებს ვანიჯტონსა და მის ფარგლებს გარეთ. მეორე მხრივ, ოპტიმისტთა ბანაკის შეშფოთებას და განცვიშ იწვევს ის ფაქტი, რომ ოგივე სასტუაციო ოთახში და, რაც მთავარია, ადმინისტრაციაში, ძირითად ად იმათი ხმა ისმის, ვინც ბეგრს არაფერს მოელის ენეგვის შეხვედრიდან და საერთოდ განიარაღების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებიდან.

ცხადია, რომ ამერიკელი პრეზიდენტის პირველი შეხვედრა საბჭოთა ხელმძღვანელთან, თანაც ასეთ რთულ ვითარებაში, ამერიკელ ჟურნალისტთა წამყვან თემად იქცა. ჟურნალისტები განსაკუთრებული მონდომებით შოლიცია და უთანხერგერის „გამონაოქვამებზე ნადირობენ". გარდა ამისა, რომ პრეზიდენტის ამ ორი წამყვანი თანამშრომლის პირად პოზიციაზე ბეგრი რამ არის დამოკიდებული, ადგილობრივი მიმმხილველები თვალ-ყურს ადევნებენ ვანიჯტონსა და ენერგეტიკის მინისტრთან შედარებით სახელმწიფო მდივანს გაცილებით ზომიერ მოღაწედ მიიჩნევენ, თუმცა არც მას მალავენ, რომ პრეზიდენტი სულ უფრო ხშირად იხრება უთანხერგერის „ჭაცერ კერსსაკენ". ის, თუ რას ნიშნავს ეს კერსი, გარკვეულად ცხადყო პრეტაგონის შეფის ერთ-ერთმა უკანასკნელმა პრესკონფერენციამ. „პრეზიდენტს დიდი ხანია სურს დაარწმუნოს რუსები, რომ მას არ უნდა ომი და მშვიდობის მომხრეა, რომ იგი ესწრაფვის შეიარაღების ეკონომიკურ და საგრძნობ შემცირებას", — განაცხადა უთანხერგერმა ოპტიმისტთა გასაგონად, ხოლო პესიმისტთა დასამშვიდებლად იქვე დასძინა, ამასთანავე ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ პირობებს, რომლებშიც შეხვედრა წარიმართება. მუდამ უნდა გვახსოვდეს ყველა მოგლენა, იქაანენთ დაწყობილი და პოლონეთით დამთავრებული. განა რეიგანისათვის ცნობილი არ არის ჩვენი ქვეყნის პოზიცია ევროპეთის მოვლენებთან დაკავშირებით? ან კიდევ, ეგივე პოლონელმა ხალხმა, რომლის არამკითხე მეურვეობას იჩემებს ვაშინგტონი, 13 ოქტომბრის არჩევნებით ერთხელ კიდევ ან დაამტკიცა სოციალისტური წყობისადმი ერთგულება?

ბოლო ხანს-მსოფლიოს ჩქონდა შესაძლებლობა კვლავ (დარწმუნებულიყო, თუ ვის სურს ნამდვილად შეიდობა და ვინ „ესწრაფვის შეიარაღების კეშმარტ და საგრძნობ შემცირებას". თვით უთანხერგერისთვისაც ხომ უკვე ცნობილი იყო ჭხაანი საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებს სტატეგიული დანიშნულების ბირთვული შეიარაღების 50 პროცენტით შემცირებას, განა ეკიძლა ასეთი ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვება, თუკი თვით სახლსა და პენტაგონში მართლაც სერიოზულად ფიქრობენ შეიარაღებისა და, სპობლიო ანგარიშით, ბირთვული კატასტროფის საფრთხის შემცირებაზე? ოპტიმისტები მაინც არ ყარაგაენ იმედს და პოზიტიურ სიაზეად მიიჩნიათ ის ფაქტი, რომ ამჟერად ვაშინგტონმა ავტოძატურად არ უარყო საბჭოთა წინადადებანი. „ზომიერმა" შოლმა იმედიც კი გამოთქვა, „ისინი (ახალი საბჭოთა წინადადებანი — ს. ც.) ნამდვილი მოლაპარაკების პროცესამდე მიგვიყვანენო". სამწუხაროდ, პრეზიდენტი უფრო უხვად ასხამს წყალს პესიმისტების წისქვილს. რ. რეიგანის ამასწინანდელ განცხადებას, თითქოს საბჭოთა კავშირს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გაესწროს „პარიტეტულად ყველა სახეობის შეიარაღებაში", სენატის შეიარაღებულ ძალთა კომისიის წევრმა, სენატორმა ლეგინმა უწოდა „ასოლუტურად გაუმართლებელი", რომლის მიზანია „გაამართლოს რეიგანსა და მ. ს. გორბაჩოვს შორის ნოემბრის შეხვედრაზე ხელშეკრულების დადებაზე ადმინისტრაციის ეარი". სენატორმა სიგანგებად აღნიშნა ის ეარიმენა, რომ საბჭოთა სამხედრო უპირატესობის თაობაზე აზრს არ იზიარებს ისეთი ავტორიტეტული ორგანო, როგორიც არის შტაბების უფროსთა კომიტეტი და პირადად მისი თავმჯდომარე ვესი, რომელიც ოფიციალურად ადასტურებს „შედარებითს პარიტეტს" ბირთვული შეიარაღების სფეროში.

ამერიკის პრეზიდენტის პოზიცია განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს დასავლეთ ევროპაში. „ნიუსუიკში" გამოქვეყნებულ წერილში დასავლეთ ევროპაინის ყოველკვირეული „ეკონომისტ" ვამოქცევეთი თეო ზომერი პირდაპირ ეწერდა: „ახლა ჩვენ კიეთ: პრეზიდენტმა რეიგანმა გამორიცხა ნებისმიერი ხელშეკრულების შესაძლებლობა ევროპის შეხვედრაზე. მას არაფრით არ სურს „ეარი ეკონომიკურ ომების" პროგრამაზე. ზომერის აზრით, პრეზიდენტის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" პირველი მსხვერპლი იქნება შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესი, მეორე — „ზესახელმწიფოთა" შორის დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივა და მესამე — „დასავლეთის ერთობა".

ყველაზე „ბოროტულებელ" ოპტიმისტებიც კი აღიარებენ, რომ პენტაგონის ფართო მასშტაბის გეგმები გამორიცხავს ნებისმიერ შეთანხმებას განიარაღების თაობაზე.

ბოლო ხანს ეკდეკ ერთი მტკივნეული დარტყმა აგეშა ადმინისტრაციამ ოპტიმისტთა ბანაკს. 6 ოქტომბერს ენ-ბი-სის ტელეპროგრამით გამოსულისას პოეზდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ძაკფოლენმა იმღანდა „ორიგინალური" შეთანხმება მისცა 1972 წლის რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის საყოველთაოდ ცნობილ ხელშეკრულებას, რომ იგი მიიჩნიეს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებად — ცალმხრივად უარყოს ხელშეკრულებით დაფიქსირებული მეზღუდები. მაყაოლეთისესეული ინტერპრეტაციით თეომეთ ეროვნული საყოველთაოდ ცნობილი ხელშეკრულებას, რომ იგი მიიჩნიეს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებად — ცალმხრივად უარყოს ხელშეკრულებით დაფიქსირებული ზესიიეტმელო. ფუნენილთ დამეშვიანის თაობაზე და „ეასასეულ ბირეალ ეარიანეს". ამავე დროს კარგად არის ცნობილი, რომ ხელშეკრულების მეზუთე პუნქტი ერძალოვს კომსოფურ ან სხვეულთ ბაზრიანს მობილურ რაკეტაწინააღმდეგო სისტემათა ანკომპონენტთა შექმნას, გამოცდასა და განლაგებას. მაყფარლეინს განცხადებამ იმიტომ უფრო შეაშფოთა ოპტიმისტები, რომ მას, ისევე როგორც სახელმწიფო მდივანს შულეს, „ზომიერად" მიიჩნევენ.

ოპტიმისტებსაც და პესიმისტებსაც კარგად ესმით 1972 წლის ხელშეკრულების მნიშვნელობა. ყველფერს რომ თავი დავანებოთ, დღეს იგი ერთადერთი რატიფიცირებული და მოქმედი ხელშეკრულებაა განიარაღების სფეროში, თვით ბონიც კი თავის მონაწილეობას „ეთანხვლეველეთის ომების" პროგრამაში უშეალოდ უკავშირებს ხელშეკრულების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამიტომ იყო, რომ 12 ოქტომბრის დასავლეთ ევროპინის „ეიდეალურმა ომავრობამ ოფიციალურად სთხოვა ვაშინგტონს ალხეშარტ ხელშეკრულების ახალი ინტერპრეტაციის არსი.

რასაკვირველია, მოკავშირეთა „დამოკიდებულება „ეარსკვლავეთის ომების" პროგრამისადმი რთული და მეტად მრავალწახნაგოვანი საკითხია. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ეგივე დასავლეთ ევროპის ფართო ზეკეიბში ყველას როდი აქვს სრულად შეგებული რეიგანის „ინიციატივის" საფრთხე. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან მასებში ისე ძლიერია ანტიბირთვული ალერგია, რომ ვაშინგტონს კარგად შენიშნული დემაგოგია ზმრიად პოულობს აუდიტორიას. აქვე ნეოდ ეროვნულ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების დაინტერესებასა და გვლენას დავივიწყებთ. ოპტიმისტებისათვის სასიამოვნო ფაქტი იყო ევანდის თავრობის უარი კოსმოსის მილიტარიზაციაში მონაწილეობაზე, მაგრამ ხომ არ აუკრძალა (უფრო სწორად ვერ აუკრძალა) მან ქვეყნის საბჭოდრო-სამრეწველო კომპლექსს, მონაწილეობა მიეღო სპეციალურ ბრეგრამის განხორციელებაში, ამიტომაც დაიმსაჯელი არ ჩავა ენეგვაში. დიდმნიშვნელოვანი მორატორიუმები, კონკრეტული წინადადებათა მიერ სერია — ყოველივე ეს შეხვედრის წარმატების ფაქტორად მიიჩნიეთ. მართალია, ამას არც პესიმისტები უარყოფენ, მაგრამ კონტრარგუმენტად ასახელებენ ადმინისტრაციის უარს მორატორიუმზე, რაკეტსაწინააღმდეგო იარაღის ფეთხრატიციულ გამოცდას, ყოველად უსუსურ პრობლემებისაკენ ბოლო-კაბანინის ჯოსკოეზი ამერიკის შეერთებული შტატების სალეწოს ნოსოლ ბოლ ბოლ ბ

ზეიმობენ მილიციის მუშაკები

10 ნოემბერს რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა მიეძღვნა მართლწესრიგისა და კანონიერების მიმაც ჯარისკაცებს.

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს პროფესიული დღესასწაული გულთბილად მიულოცა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჯ. კუხალაშვილმა.

მოხსენება საქართველოს საბჭოთა მილიციის სახელოვანი გზის შესახებ გააკეთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შინაგან საქმეთა სამსახურის გენერალ-მაიორმა ვ. შადურმა.

საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ ამხანაგები გ. ანდრონიკაშვილი, გ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გუმბარიძე. (საქინფორმი).

საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე

68 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1917 წლის 10 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს მუშურ-გლეხური მილიციის შექმნის შესახებ. ამ დღიდან მოყოლებული საბჭოთა მილიცია მტკიცედ დადგა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე როგორც შრომელი მასების აზრის, ნებისა და ძალაუფლების გამომხატველი, როგორც რევოლუციის ფარი და მახვილი. საბჭოთა მილიციის ორგანიზაციული ფორმირების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ი. სტალინს, კ. ვოროშილოვს, ფ. ძერჟინსკის, მ. კალინინს და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღესვე შეიქმნა კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისია, ხოლო ორიოდე თვის შემდეგ, 1921 წლის 20 აპრილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რევკომმა მიიღო დეკრეტი მუშათა და გლეხთა მილიციის შექმნის შესახებ.

ამ დროისათვის საქართველოში უკვე ნაყოფიერი ნიადაგი არსებობდა მილიციის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმირებისათვის, რადგანაც იგი ეყრდნობოდა რუსეთის რევოლუციის სამი წლის უმდიდრეს გამოცდილებას.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ჩეკისტთა საბრძოლო წრთობისა და პროფესიული დაოსტატების საქმეში დიდი წვლილი შეჰქონდათ რუს კოლეგებს, რომლებიც მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდნენ ქართველ თანამებრძოლებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1922 წლის ნოემბერში საქართველოს ესტუმრა რევოლუციის მგზნებარე რაინდი ფ. ძერჟინსკი, რომელმაც ახლად შექმნილი მილიციის თავკაცებსა და პირად შემადგენლობას მისცა სწორი მიმართულება და გეზი რევოლუციური წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ქართული მილიციის სათავეებთან იდგნენ და მისი ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა რევოლუციონერებმა ს. ორჯონიკიძემ, მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, მ. ორახელაშვილმა, ს. გეგეჭკორმა და სხვებმა.

სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე, ომისა თუ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქართული საბჭოთა მილიცია მტკიცედ დადგა რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, ერთგულად ემსახურებოდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ყველა პატიოსანი მოქალაქის ინტერესებს და, როგორც საბჭოთა ჩეკისტების ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა, მალე მშრომელი მასების მხარდაჭერა, სიყვარული და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

დღეს შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობენ პოლიტიკურად გამოწრთობილი, კანონიერების და სამართლიანობის იდეების ერთგული, პროფესიულად მომზადებული ადამიანები, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა მილიციის ძალისა და ძლიერების მთავარი წყაროა კომუნისტური პარტიის ყოველდღიური მზრუნველობა, რომელიც არა მარტო განსაზღვრავს მართლწესრიგის დაცვის ამოცანებსა და მათი გადაწყვეტის გზებს, არამედ შინაგან საქმეთა ორგანოებს განამტკიცებს მაღალკვალიფიციური კადრებით, ზრდის თანამშრომლებს ხალხისადმი თავდადებული სამსახურის, სოციალისტური კანონიერებისადმი ერთგულებისა და მისი განუხრელად დაცვის სულისკვეთებით. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მარტში მიღებულ დადგენილებას მილიციის რიგებში წარმოების მოწინავე მუშა-მოსამსახურეების, მათ შორის კომუნისტებისა და კომკავშირელების გაწვევის შესახებ.

შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობას შორის პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შემდგომი გაძლიერების საქმეში დიდი როლი შესრულა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში პოლიტიკური ორგანოების შექმნამ, რომელიც კოორდინაციას უწევს და მიზანსწრაფულად წარმართავს მუშაობას ამ მიმართულებით.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით, ბოლო წლებში შეიმჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულობათა კლების ტენდენცია, გაუმჯობესდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი, რასაც თავისთავად დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს. საგრძნობლად გააქტიურდა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს ნავთობპროდუქტებით მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებით დადასტურებულია, რომ ბოროტმოქმედნი არა მარტო იტაცებდნენ დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრებს, არამედ დანაშაულებრივად უკავშირდებოდნენ სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ მერყევ მუშაკს, შექმნეს მექრთამეობის განშტოებული სისტემა, სარგებლობდნენ მათი მფარველობით. სულ ახლახან გამოვლინდა მექრთამეობის აღმაშფოთებელი ფაქტი ვაჭრობის სამინისტროს აპარატში.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო შეუპოვარ და თანამიმდევრულ ხასიათს იძენს, რადგან კარგად გვესმის, რომ მექრთამეობა, ასაზრდოებს ბევრ სხვა ნეგატიურ მოვლენას, რაც რესპუბლიკის საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

დიდ მორალურ ზიანს აყენებს საზოგადოებას ისეთი ანომალიური მოვლენა, როგორიც არის სპეკულაცია. მას საფუძვლად უდევს წარმოებისა და მოხმარების სფეროში არსებული დისპროპორცია, რომელიც დროდადრო ამა თუ იმ მიზეზით თავს იჩენს ხოლმე. ხშირად კი ჩვენ იმის მოწმენიც ვხდებით, თუ როგორ ქმნიან დაინტერესებული პირნი ხელოვნურად სამრეწველო საქონლის დეფიციტს დანაშაულებრივი გზით.

ამას წინათ შინაგან საქმეთა ორგანოებმა გამოავლინეს აღმაშფოთებელი ფაქტი ქ. თბილისის ავტოტექმომსახურების სისტემაში. კერძოდ, აქ ავტომანქანა „ჟიგულის“ მარკის სათადარიგო ნაწილებს განზრახ უმალავდნენ მომხმარებლებს, რითაც აიძულებდნენ მათ, იგივე ნაწილები გადიდებულ ფასებში შეეძინათ სპეკულანტებისაგან, რომლებიც რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს უნაწილებდნენ ცენტრალური საწყობის გამგეს, ავტოტექმომსახურების დირექტორს და მთავარ ბუღალტერს. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები გამონაკლისი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ჯერ კიდევ სრულად ვერ მივაღწიეთ ამა თუ იმ სფეროში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრას, ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა მილიციის ორგანოების საქმიანობაში.

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის 9 თვის შედეგებს მიეძღვნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა სავსებით სამართლიანად ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც სამწუხაროდ, კვლავაც არის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობაში.

დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს ბრძოლა მუქთახორობის, ლოთობისა და რეციდივულ დანაშაულობათა წინააღმდეგ, რაც პროფილაქტიკური მუშაობის ნაკლოვანებებზე მიგვანიშნებს. როგორც ანალიზი ცხადყოფს, საშიშ დანაშაულობათა მესამედზე მეტი ჩადენილია სიმთვრალეში, ყოველი მეორე სამართალდამრღვევი მუქთახორა ან წინათ ნასამართლევი პირია. ამიტომ ცხადი ხდება სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების უდიდესი მნიშვნელობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ. საჭიროა გააქტიურდეს ბრძოლა სპირტიანი სასმელებით სპეკულაციის და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევების წინააღმდეგ. ასევე აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა მუქთახორათა გამოვლინებისა და მათი შრომითი დასაქმებისათვის. უნდა გაძლიერდეს ყოველდღიური, კონკრეტული, გამაფრთხილებელი, პროფილაქტიკური მუშაობა წინათ ნასამართლევ და დანაშაულისადმი მიდრეკილების მქონე პირთა მიმართ.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა დანაშაული. უნდა აღინიშნოს რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკა უშუალოდ არის დაკავშირებული ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობასთან, რადგან, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ამ საშიში სენით მეტწილად სწორედ ახალგაზრდები ავადდებიან, რაც გარდა იმისა, რომ დამღუპველად მოქმედებს მათ ჯანმრთელობასა და ფსიქიკაზე, ამავე დროს სისხლის სამართლის სხვა დანაშაულობათა მიზეზიც ხდება. სამწუხაროდ, ნარკომანიის საშიში სენი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, რაც მეტად დამაფიქრებელია და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა როგორც შინაგან საქმეთა ორგანოების, ასევე მთელი საზოგადოების ძალთა მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს.

ასევე მკაცრი და სამართლიანი კრიტიკა გამოითქვა სახელმწიფო ავტოინსპექციის საქმიანობის მიმართ. მართალია, ბოლო დროს ერთგვარად გაუმჯობესდა რესპუბლიკის ავტოინსპექციის მუშაობა, იგი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამედ გამოვიდა გამარჯვებული —იკლო ავტოავარიების შედეგად დაღუპულთა და დასახიჩრებულთა რიცხვმა, მაგრამ მიღწეული საკმარისი არ არის. ჯერ კიდევ ასობით ადამიანი იღუპება რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე. მოძრაობის უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს დღეს, როცა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რიცხვი რესპუბლიკაში განუწყვეტლივ იზრდება, ქუჩებისა და გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია კი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს. ასეთ პირობებში ჩვენი ყურადღება ძირითადად უნდა გამახვილდეს მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ავტოინსპექციის მუშაკების პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის გადიდებისადმი. კვლავაც მთელი სიმკაცრით დგას დღის წესრიგში ავტოინსპექციის მუშაკთა მორალური სიწმინდის საკითხი.

სულ ახლახან გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს XVIII პარტიული კონფერენცია, სადაც განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში შეიმჩნევა. დიდი ყურადღება დაეთმო კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხს. იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებმა წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგარი რთული ამოცანები, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ვიზრუნოთ საკუთარი რიგების სიჯანსაღისა და კოლექტივის თითოეული წევრის მორალურ-ზნეობრივი სიწმინდისათვის. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ახალ, თვისებრივად მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი მუშაობა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის და, როგორც სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა მიგვითითა, უზრუნველვყოთ ერთი დისციპლინა, ერთი კანონი, ერთნაირი მოთხოვნები ყველასათვის.

დისციპლინის, ორგანიზებულობისა და კანონიერების დაცვისადმი მოთხოვნა თანაბრად ეხება ყველას—რიგითით დაწყებული და მინისტრით დამთავრებული.

დღეს, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი დიდი შრომითი მიღწევებითა და ენთუზიაზმით ეგებება სკპ XXVII ყრილობას, ჩვენც, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები აღვუთქვამთ რესპუბლიკის მშრომელებს, რომ პარტიული, საბჭოთა ორგანოების დახმარებით და მათი აქტიური მხარდაჭერით, წარვმართავთ მუშაობას იმ ამოცანათა შესაბამისად, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საზოგადოებრიობა გვისახავენ.

გ. გვეტაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი.

გარი კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონია

კარპოვ-კასპაროვის მეორე მატჩი მსოფლიო პირველობაზე პირობითად შეიძლება რამდენიმე ნაწილად დავყოთ.

ორთაბრძოლა დაიწყო პრეტენდენტის ძლიერი შეტევით, რომელმაც პირველსავე პარტიაში მნიშვნელოვანი სიახლე გამოიყენა და ქულა მოიპოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ კარპოვს მსოფლიო პირველობის მატჩი წაგებით არასოდეს დაუწყია. მეტად მძაფრი და შინაარსით მდიდარი მეორე პარტია ზოგ მიმომხილველს მატჩში საუკეთესოდ მიაჩნია, თუმცა იგი ყაიმით დასრულდა. აქ შავებით მოთამაშე კასპაროვი ბრწყინვალედ უტევდა, კარპოვი კი უზუსტესი სვლებით იცავდა თავს. საბოლოო ანგარიშით ბაქოელი მაინც შეცდა და ხელიდან გაუშვა მოგება.

მატჩის მეორე ეტაპი, ეტყობა, უკვე მესამე პარტიიდან იწყება. იმან, რომ ჩინებულად ნათამაშები მეორე პარტია მოგებით ვერ დააგვირგვინა, ახალგაზრდა დიდოსტატზე აშკარად იმოქმედა. მას მესამე პარტიაში მოგებაზე თამაში არც კი უცდია. მეოთხე და მეხუთე პარტიები წააგო და, პირველად ამ მატჩში, ჩემპიონი დაწინაურდა. ბრძოლის ამ მონაკვეთში, ექსპერტების აზრით, კარპოვი მეტოქეს სჯობნიდა მანევრულ თამაშში, უკეთესად ატარებდა ენდშპილს, სადაც მისი უპირატესობა აშკარა იყო. თამაშის ასეთი გაგრძელება კასპაროვს კარგს არაფერს უქადდა. შემდეგში იგი უნდა ცდილიყო გამოეყენებინა უკეთესი სადებიუტო მომზადება, კომბინაციებით სავსე, ახლართულ-ჩახლართულ პოზიციებში დიდებულად გარკვევის უნარი.

მეთერთმეტე პარტიიდან მატჩში მესამე, „კასპაროვის პერიოდი“ დაიწყო. მან მთლიანად დაძლია მცირეოდენი კრიზისი, კარპოვს კი დაღლის პირველი სიმპტომი გამოაჩნდა. მართლაცდა, რაც ჩემპიონს მეთერთმეტე პარტიაში შეემთხვა, როცა მას, ჰოი, საკვირველებავ, მხედველიბიდან გამორჩა ლაზიერის ელემენტარული შეწირვა, საერთოდ უმაგალითოა კარპოვის უმდიდრეს პრაქტიკაში. ასეთ წაგებას არ შეეძლო დეპრესია არ გამოეწვია. დაიწყო პრეტენდენტის ხანგრძლივი შეტევა, რომლის დროსაც მან გვიჩვენა ყველაფერი საუკეთესო, რითაც იგი ასე ხიბლავს საჭადრაკო სამყაროს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის დიდებული მეთექვსმეტე პარტია, რომელსაც ესოდენ დიდი რეზონანსი ჰქონდა მთელ მსოფლიოში. ბევრი საზღვარგარეთელი მიმომხილველი მას ნამდვილ საჭადრაკო მარგალიტად თვლის, ზოგი კი გენიალურს უწოდებს. „ინიციატივა მატერიალურ მონაპოვარზე უფრო ძლიერია, სჯობს“, — წერდა თავის დროზე ალექსანდრე ალიოხინი. კასპაროვი ამ აზრს სავსებით იზიარებს. იგი შეწირვებს არ ერიდებოდა, სადინალო იერიში კი მართლაც რომ დიდი ძალით განახორციელა. ამ პარტიის შემდეგ იგი მატჩში მეორედ, და როგორც შემდეგ გამოირკვა, საბოლოოდ დაწინაურდა.

ვფიქრობთ, მატჩის ბედი საბოლოოდ მეცხრამეტე პარტიამ გადაწყვიტა, როცა პრეტენდენტი უკვე ორი ქულით დაწინაურდა: 10,5:8,5. მართალია, ოცდამეორე პარტიაში, სადაც კასპაროვმა ყაიმის კარგი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა, კარპოვმა ქულათა შორის სხვაობა შეამცირა. ეს იყო და ეს: მეტის გაკეთება მოსკოველმა ვეღარ შეძლო. ოცდამესამე პარტია ყაიმით დასრულდა, თუმცა უპირატესობა ახალგაზრდა დიდოსტატს ჰქონდა, ოცდამეოთხის შემდეგ კი დაიბადა მსოფლიოს მეცამეტე და ისტორიაში ყველაზე უფრო ახალგაზრდა ჩემპიონი — 22 წლის გარი კასპაროვი. აქამდე მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი მიხეილ ტალი იყო, რომელმაც ეს წოდება 23 წლისა და 6 თვის ასაკში მოიპოვა, მოგვიანებით კი მან ირონიულად შენიშნა: 24 წლისა მსოფლიო ექსჩემპიონი ვიყავი, ამ „რეკორდს“ ვინ წამართმევსო!

ერთი სიტყვით, კასპაროვმა მეტად საპატიო და სრულიად დამსახურებული გამარჯვება იზეიმა, თვით მატჩი კი მეტისმეტად საინტერესო და ერთ-ერთი უმძაფრესი გამოდგა ჭადრაკის ისტორიაში, აქ ყველაფერი ვნახეთ, რითაც დღეს მდიდარია საჭადრაკო ხელოვნება.

ახლა, დებულების თანახმად, ჩვენ კასპაროვ-კარპოვის რიგით მესამე ორთაბრძოლას უნდა დაველოდოთ, რადგან, როგორც ცნობილია, მსოფლიო ექსჩემპიონს უკანასკნელად მიენიჭა მატჩ-რევანშის უფლება. მისი პირობები ზუსტად ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ახლანდელი მატჩისა. ისე კი, დიდხანს ცდა არ მოგვიხდება. წინასწარი ცნობებით, მატჩ-რევანში უკვე თებერვალში ან მარტში უნდა დაიწყოს.

უკანასკნელი, ოცდამეოთხე პარტია

კარპოვი — კასპაროვი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კe2 e6 7. 0-0 კe7 8. f4 0-0 9. მფh1 ლc7 10. a4 მc6. 11. კe3 ეe8 12. კf3 ეb8 13. ლd2 კd7 14. მb3 b6 15. g4 კc8 16. g5 მd7 17. ლf2 კf8 18. კg2 კb7 19. ეad1 g6 20. კc1 ეbc8 21. ეd3 მb4 22. ეh3 კg7 23. კe3 ეe7 24. მფg1 ეce8 25. ეd1 f5 26. gf მ:f6 27. ეg3 ეf7 28. კ:b6 ლb6 29. კe3 მh5 30. ეg4 მf6 31. ეh4 g5 32. fg მg4 33. ლe2 მ:e3 34. ლ:e3 მ:c2 35. ლb6 კa8 36. ე:d6 ეb7 37. ლ:a6 ე:b3 38. ე:e6 ე:b2 39. ლc4 მფh8 40. e5 ლa7+ 41. მფh1 კ:g2+ 42. მფ:g2 მd4+ და თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, კასპაროვმა გაიმარჯვა ანგარიშით 13:11 და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

განვლილ კვირა დღეს, მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში მატჩი საზეიმოდ დაიხურა. მონაწილეებს მიესალმა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პ. ნ. დემიჩევი. ფიდეს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა (ფილიპინები) კასპაროვი დაფნის გვირგვინით შეამკო და მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონად გამოაცხადა.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა განაცხადა, რომ იგი ახლა დასვენებას აპირებს და ამიტომ მონაწილეობას არ მიიღებს მსოფლიოს პირველ გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც ამ დღეებში ლუცერნში (შვეიცარია) იწყება.

საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა, მფრინავმა-კოსმონავტმა ვიტალი სევასტიანოვმა ჟურნალისტებს გააცნო საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობა ამ შეჯიბრებაზე. პირველ დაფაზე მსოფლიო ექსჩემპიონი კარპოვი ითამაშებს.

ფლორენსიო კამპომანესმა აღნიშნა მატჩის მეტად მაღალი შემოქმედებითი და სპორტული დონე. მან მსოფლიოს ახალ ჩემპიონს მადლობა გადაუხადა საჭადრაკო ხელოვნებაში დიდი წვლილისათვის.

გ. გამრეკელი.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი.

ამღერდებიან კი მოხრიალე ონკანები?

ფელეტონისტის ბლოკნოტიდან

ჩვენ აბსოლუტური სიზუსტით ვიცით, როდის დაბნელდება მზე, რომელი ვარსკვლავის სხივის ციმციმი როდის მოაღწევს დედამიწამდე და როდის აღიდდება ნევა...

ვინ არ იცის, რომ ამ ათიოდე დღის წინათ მთვარე რომ დაბნელდა, საზოგადოება ისე იყო წინასწარ ინფორმირებული, ძაღლსაც კი არ შეუყეფია მნათობისათვის... ასეა, თუ იცი რა მოგელის, საშიში რაა ამ ცივილიზებულ სამყაროში!

«Тучи, как озера, Месяц—рыжий гусь...» გიტარაზე ამღერებდა ჩემი მეზობელი ანეტა.

რა არ ვიცით ამქვეყნად, ქვესკნელში რა არის, ის ვიცით, მაგრამ წყალი როდის მოდის ონკანში — აი ეს კი არ ვიცით!

ხრიალებენ გამშრალი ონკანები მომაკვდავივით და ჩვენ, სასოწარკვეთილი მოქალაქენი, ამ ხრიალს ვუერთებთ ჩვენს ლანძღვა-გინებას. და ერთობ ზოგადი მისამართით ორიოდე „მაგარი“ სიტყვით გულს ვიგრილებთ: „თვითონ რა ენაღვლებათ!..“ ამის თქმა ძალიან შველის ჩვენს გაჭირვებას და ჩვენც სხვადასხვა ტემპერამენტითა და ემოციით გავყვირით ამას. თუმც ეს „თვითონ“ მაინცდამაინც გაცნობიერებული არა გვყავს. ეს ისე, უფრო ზოგადი სახეა, რომელშიც იგულისხმება პიროვნება, რომელიც უფლებამოსილია წყალი გამოუშვას და დაკეტოს... გამოუშვას და დაკეტოს!.. და მასში ყოველთვის არა მარტო წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელები იგულისხმება...

ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცის ბედის გადაწყვეტას ხშირად გაზეთში „პრობლემას“ ვუწოდებთ, სინამდვილეში ეს პრობლემა კი არ არის, ეს ადამიანის აბუჩად აგდებაა. პრობლემაა უწყლობა, წყლის ბალანსის უქონლობა და ამას შეგნებულად, მოთმინებით იტანს მომხმარებელი. აი იმას კი, რომ დღემდე არ გამოჩნდა „იურიდიული პირი“, რომელიც მას შეატყობინებს ამა და ამ უბანში, ამა და ამ საათზე წყალი არ გექნებათ და მოიმარაგეთო, — ვერ იტანს და არც გაემტყუნება.

ვინც ჩვენი გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის სარედაქციო ფოსტაში და სათანადო უწყებებში თავმოყრილი მოქალაქეთა განცხადებისა და საჩივრების გაცნობას მოინდომებს, სულ იოლად მიხვდება, რა ნერვები, ნებისყოფა და მელან-ქაღალდია დახარჯული ამ საქმეზე. ვინიდან ასობით თუ არა, ათიათასობით წერილში ერთი და იგივე წერია, ალალბედზე ავიღოთ ნებისმიერი და წავიკითხოთ:

„კომუნისტის“ რედაქციას
მშრომელთა წერილების განყოფილებას

ყოველი ადამიანის ოჯახში საწუხარი ბევრია, მაგრამ იმაზე უარესი რა უნდა იყოს, როცა მთელი კვირაობით ონკანში წყალი არ მოდის.

წინათ დილა-საღამოს მაინც იყო წყალი და არა უშავდა, მაგრამ ახლა ესეც სანატრელი გვიხადეს.

ვინაა ეს ჩვენი დროის „გველეშაპი“ ან „ბაყბაყ დევი“, წყალი რომ სათავეში ჩაუგდია და არ უშვებს?! ქერჩის აჯიმუშკაის ავადსახსენებელი დღეგამოვლილი კაცი გავტყდი, სად ავიღო თავი და ვის მივმართო? იქნებ რედაქცია დაგვეხმაროს?

წყლის დეფიციტს ოდესმე დავძლევთ, მაგრამ, რაც გვეძლევა, იქნებ გაგვაგებინონ — როდის!

ძლიერ ვწუხვარ, რომ ელემენტარული რამე სალაპარაკო გამიხდა.

სამამულო ომის ვეტერანი შალვა გოზალიშვილი. თბილისი, ბაქრაძის ქ. № 11“

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, გინდ ეთიმ გურჯივით შესძახეთ, ბატონო შალვა, „მიხარია, არ კი მჯერაო“, და ქალაქელების საყვარელ მაცნეში გაზეთ „თბილისში“ თეთრზე შავით ეწერა, მაგრამ რა ეწერა... ჯერ ახსნილი იყო ჩვენი გაჭირვება, მერე „თბილისწყალკანალის“ საწარმოო სამმართველომ შეგვატყობინა, რომ ამიერიდან ჟინვალის წყალსაცავიდან თბილისის ზღვაში წყლის მოყვანამდე თანაბრად განაწილების მიზნით იქნება გრაფიკი, და ყველას ასტრონომიული სიზუსტით გვეცოდინება, როდის და რამდენი ხნით გვექნება წყალი!

ერთი გენახათ, ეს ცნობა რომ ქალაქს მოედო... დატრიალდა, მაგრამ რა დატრიალდა! ხვეწნა-კოცნამდე მივიდა საქმე.

ასეა თურმე, როცა საზოგადოებრივი აზრი იძალებს, როცა საქმეს ზემოდან, ქვემოდან, ყველა მხრიდან შეუტევენ, როცა გული გულობს... დინება არხს ნახულობს და საურმე გზა თუ არა, ბილიკი მაინც შეიძლება გამოჩნდეს.

მართალია, როგორც კი მიწყდა გრაფიკით გამოწვეული პირველი სიხარული და წყლის მომხმარებლებმა გრაფიკში ჩაიხედეს, აქაიქ შენიშვნები და საყვედურებიც კი გამოითქვა, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა, „ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს, და, რაც მიეღოს ერთხელ ხატვრით, ისი ეკმაროს“.

გლდანის, ლენინის, ოქტომბრის, 1 მაისის, ორჯონიკიძის, კალინინის და საბურთალოს რაიონის მაცხოვრებლებს წყალი მიეწოდებათ დილის 7 საათიდან 11 საათამდე. ეს არ მოსწონს ზოგიერთს — 9 საათზე სამსახურში უნდა ვიყოთო!

— მაშ, ელიამ და ავლაბარმა რა ქნასო? — ამბობენ იქაურები. ზოგს დღე არ მოსწონს, ზოგს ღამე, მაგრამ ეს უმეტესად — მოკრიტიკე პირებს.

საერთოდ კი უწყლობით გამწარებული მორწმუნეები და ურწმუნოები ერთხმად გამოთქვამდნენ რწმენას, რომ ეს დიდებული საქმე მოხდა, თითქოს ჟინვალის წყალი უკვე თბილისის ზღვაში ჩაედინებოდეს დგაფუნით და ხრიალა, გამშრალი ონკანები ამღერებულიყვნენ.

ძველი ბერძნები ამბობდნენ, „ერთი და იგივე წყალში ვერ ჩახვალო“. მაგრამ ეს რომ მოხდეს (ე. ი. ერთი და იგივე წყალში, რომ ჩახვიდე!), წყალი უნდა იყოს. ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ზამთარში წყალი იკლებს და გაზაფხულზე კვლავ იმატებს! და რომ გემაზომიერება მარტო მოწოდებაში კი არა, მოხმარებაშიც აუცილებელია და სასმელი წყლის ტექნიკურ წყლად გამოყენება მავნებლობაა. და ბოლოს გეგმაზომიერება იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ მომხმარებელმა ყოველთვის იცოდეს, ვის მოუწონოს საზრიანობა, და ვის აგებინოს პასუხი უზრუნველობისა და უპასუხისმგებლობისათვის.

ისე ისიც ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქალაქო მეურნეობა ურთულესი მექანიზმია და მომარაგებისა თუ მართვადობის თვალსაზრისით ხახადაფჩენილ ვეშაპს წაავლებს, მაგრამ ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ უნდილმა საქმე წაახდინოს და ფათერაკს დააბრალოს. ზამთარი ხან ცივი იქნება, ხოლო ზაფხული — ხან გვალვიანი. მთლიანად ზეცას შემყურე ვერ ვიქნებით.

კარგად მახსოვს ერთხელ, დიდთოვლობის დროს საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთმა მესვეურმა ინტერვიუში თავი იმართლა:

— წელს ზამთარში თოვლს არ ველოდითო!

— ?!

იმე, ეს იმასა ჰგავს, ფეხბურთის კომენტატორებმა ზოგჯერ რომ იციან, „ამ ბურთს მეკარე კარში არ ელოდაო!“ აბა, გავრილოვი წერილს რომ არ მისწერდა გაბელიას, ამას ცოდნა უნდა?!

ახლა გათბობის სეზონი იწყება და რედაქციაში საცაა პირველი მერცხლებივით შემოცვივა შეცივნულთა საჩივრები...

საქალაქო მეურნეობის მთელი სისტემა ზღაპრულ გმირს ცისკარას უნდა დაემსგავსოს, წყალი ბაყბაყ დევს რომ გამოსტაცა და ხალხს დაუბრუნა.

და მაშინ ამღერდებიან ონკანები!..

რეზო დვალიშვილი.

ჩვენს დიად სამშობლოში

ბაქოს წყალღრმა საფუძვლების ქარხანაში დაამზადეს სტაციონარული საბურღი პლატფორმის პირველი საყრდენი ბლოკი. მას კასპიის ზღვის ფსკერზე დადგამენ 100 მეტრის სიღრმეზე. ბლოკის წონა 2 ათას ტონას აღემატება, სიმაღლე 110 მეტრია. საყრდენ ბლოკებს 2,5 მეტრი დიამეტრის მქონე მილებისგან აწყობენ. ბლოკების დამონტაჟებასა და მილების დამზადებაში მონაწილეობენ ფრანგული ფირმის სპეციალისტები, რომლებმაც ქარხნის მოწყობილობა მოგვაწოდეს.

ფოლადის პლატფორმების მეშვეობით კასპიის ზღვაში აღმოაჩინეს ნავთობისა და გაზის საბადოები, რომელთა ნახევარზე მეტი უკვე ინტენსიურად მუშავდება. სსრ კავშირში საზღვაო ნავთობმოპოვების პიონერები — აზერბაიჯანელი მენავთობეების გამოცდილებას წარმატებით იყენებენ შავ ზღვაში, ბალტიის ზღვაში, აგრეთვე სახალინის ნაპირების მახლობლად კონტინენტურ შელფზე.

სურათზე: ეს კუნძული — ქარხნის ემბლემა — ხმელეთზე დგას, ქარხნის შესასვლელთან. ასეთი იქნება მზა სახით საწარმოს პროდუქცია. საყრდენ ბლოკებს ბაქოელები აკეთებენ, ხოლო ბაქანსა და ზედნაშენს ასტრახანში გამოუშვებენ.

ფეხბურთის ამბები

განვლილ კვირა დღეს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები, რომელთა შედეგები ასეთია: კიევის „დინამო“-„ნეფთჩი“ — 2:1, „ჟალგირისი“-როსტოვის ასკ — 5:1, მინსკის „დინამო“-„ფაკელი“ — 2:1, მოსკოვის „ტორპედო“-თბილისის „დინამო“ — 2:0, „მეტალისტი“-„არარატი“ — 2:1, „ყაირათი“-ქუთაისის „ტორპედო“ — 4:1. დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი (ცხრილში შეტანილი არ არის გუშინ გამართული მოსკოვის „დინამოსა“ და „ზენიტის“, აგრეთვე „შახტიორისა“ და „სპარტაკის“ შეხვედრათა შედეგები):

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	20	7	4	61-21	47
„დინამო“ მნ	16	9	6	39-22	41
„დნეპრი“	15	10	6	61-31	40
„სპარტაკი“	14	10	6	59-25	38
„ტორპედო“ მ	13	9	10	37-34	35
„ჟალგირისი“	12	11	9	41-42	34
„მეტალისტი“	12	7	12	36-44	31
„ყაირათი“	10	13	9	39-42	30
„არარატი“	10	10	12	38-42	30
„ზენიტი“	11	6	13	38-33	28
„შახტიორი“	9	10	11	39-40	28
„დინამო“ მ	11	5	15	34-46	27
„დინამო“ თბ	9	9	13	26-34	27
„ნეფთჩი“	9	9	14	30-40	27
„ჩერნომორ.“	10	6	15	38-59	26
„ტორპედო“ ქთ	8	9	14	30-46	25
„ფაკელი“	8	9	16	22-44	25
ასკ რ	7	7	19	35-58	21

როგორც გათამაშების ცხრილიდან ჩანს, კიევის „დინამოს“ დარჩენილი 3 მატჩიდან 1 ქულაც ჰყოფნის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. რაც შეეხება თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“, მათ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე ადგილების დაკავების საფრთხე აღარ ემუქრებათ: როსტოველ არმიელებს ერთი მატჩი დარჩათ გასამართავი და იგი რომ მოიგონ კიდევ, 23 ქულით ბოლო ადგილზე გავლენ. უმაღლესი ლიგიდან გამოთიშვის პრეტენდენტია აგრეთვე „ფაკელი“, ვინაიდან მასაც ერთი მატჩი აქვს გასამართავი და მისთვის თეორიულად მაქსიმალური — 27 ქულა საკმარისი არ იქნება უმაღლეს ლიგაში დასარჩენად. თბილისის „დინამომ“ და ქუთაისის „ტორპედომ“ კი, რომელთაც 3-3 მატჩი შინ აქვთ გასამართავი, თავგამოდებით უნდა იბრძოლონ იმისათვის, რათა მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ადგილებზე არ აღმოჩნდნენ: ფეხბურთის ქომაგებს მოეხსენებათ, რომ ამ ადგილებზე გასულებს უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ოთხთა დამატებით ტურნირში მოუწევთ ასპარეზობა.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე რიგის „დაუგავას“ 58 ქულა აქვს, ცსკას — 52. ბათუმის „დინამო“ 34 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა.

გთავაზობთ პირველ ლიგაში გადასასვლელი პირველი და მეორე ლიგების ფეხბურთელთა 12 გუნდის საკავშირო ტურნირების მესამე ტურის შეხვედრათა შედეგებს: **პირველი ჯგუფი.** ხაბაროვსკის „სოხიბკორი“-ჯიზაკის „ზვეზდა“ — 0:1, სიმფეროპოლის „ტავრია“-როსტოვის „როსტსელმაში“ — 2:1. ამ ჯგუფში სამი ტურის შემდეგ ლიდერებს — „როსტსელმაშსა“ და „ზვეზდას“ 4-4 ქულა აქვთ; **მეორე ჯგუფი.** მახარაძის „მერცხალი“-კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 2:2, პერმის „ზვეზდა“-კლაიპედის „ატლანტასი“ — 2:0. აქ 4 ქულით ლიდერია „ატლანტასი“. „მერცხალს“ და „ზვეზდას“ 3-3 ქულა აქვთ. „კრილია სოვეტოვს“ — 2; **მესამე ჯგუფი.** სმოლენსკის „ისკრა“-ბრიანსკის „დინამო“ — 2:0, ჩიმკენტის „მელიორატორი“-ტიუმენის „გეოლოგი“ — 2:0. ამ ჯგუფში 5 ქულით დაწინაურდა „ისკრა“. „მელიორატორს“ 3 ქულა აქვს. გუშინ სამივე ჯგუფში მეოთხე ტურის მატჩები უნდა გამართულიყო.

სატურნირო ორბიტა

სპორტული ტანვარჯიში. კანადის ქალაქ მონრეალში მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ვაჟთა შორის უძლიერესი გახლდათ ვლადიმირელი იური კოროლიოვი (117,85 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაქალაქელი ვლადიმერ არტემოვი (117,550), მესამეზე — სილვიო კროლი (გდრ; 117,300). ქალთა შორის კი ორმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა ლენინგრადელმა ილენი შუშუნოვამ და კიეველმა ოქსანა ომელიანჩიკმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (78,663–78,663). ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა დაგმარ კერსტენს (გდრ; 78,325 ქულა).

რაგბი. მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი სსრ კავშირისა და იტალიის ნაკრებ გუნდებს შორის. ეს შეხვედრა მოიგეს საბჭოთა რაგბისტებმა ანგარიშით 15:13. ჩვენი რაგბისტები პირველი წრის მომდევნო მატჩებს გამართავენ 8 მაისს (უმასპინძლებენ ფრანგებს), 17 მაისს (პორტუგალიელებთან სტუმრად ითამაშებენ) და 7 ივნისს (ასევე სტუმრად — ტუნისელებთან).

კლასიკური ჭიდაობა. შვეციის ქალაქ ლუნდში დამთავრებულ მსოფლიოო თასის გათამაშებაზე უძლიერესის წოდება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა. მის შემადგენლობაში იყვნენ ბაქოელი ი. უმაევი, ნოვოჩერკასკელი ს. დიუდიაევი, ომსკელი ტ. კალიმულინი, კიეველი ა. ტაინკინი, ლენინაკანელი ლ. ჯულფალაკიანი, მსოფლიო ჩემპიონები — მოსკოველი მ. მამიაშვილი და ქუთაისელი თ. აფხაზავა, აგრეთვე გროზნელი ხ. მულაევი, კიეველი ვ. კლიმენკო და ჩელიაბინსკელი ვ. გრიგორიევი.

გ. დ. ჯავახიშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1985 წლის 12 და 13 ნოემბერს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში — ფალიაშვილის ქუჩა, 31. დაკრძალვა 14 ნოემბერს 3 საათზე.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

12 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — ნორჩთა შემოქმედება. 10.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.30 — მხატვრული ტელეფილმი „პირისპირ დგომა“. მე-2 სერია. 12.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ჩვენი თანამედროვე“. 16.50 — „მოწოდება“. 17.25 — ფილმ-კონცერტი. 18.00 — „მოსწავლეებს პურის შესახებ“. 18.30 — დოკუმენტური ფილმი „სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტი“. 19.00 — სპორტული ტანვარჯიში. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „რუსული ბალეტის ფურცლები“. ფილმ-კონცერტი. 20.20 — „ჩვენი ცხოვრების პროგრამა“. განვიხილავთ სკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტებს. გამოდის სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი „გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი ვ. გ. აფანასიევი. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „პირისპირ დგომა“. III სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ფილმ-კონცერტი. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15. — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ამჟარული ჩანახატები“. 10.05— და 13.35 — ფრანგული ენა. 10.55 — დოკუმენტური ფილმი. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. 11.35 — ს. ესენინის ლირიკა. 12.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 12.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.05 — საჭადრაკო სკოლა. 14.05 — მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1985 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები. 14.50 — XVIII საუკუნის რუსული ხელოვნება. არქიტექტურა. 15.20 — სოფლის საათი. 19.15 — მუსიკალური კიოსკი. 19.45 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.30 — ჰოკეი. „სპარტაკი“ — მოსკოვის „დინამო“. 22.00 „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „გაუჩინარება“.

თბილისი

12 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „მოამბე“ (განმეორებით). 10.05 — საესტრადო პანორამა (განმეორებით). 10.45 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ორი კომედია“. 11.25 — „თელავის მუსიკალური საღამოები“ (გადაცემა პირველი). 12.45 — საბჭოური ცხოვრების წესი“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის დღის ქრონიკა“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ზ. ჭუმბურიძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (სტუდიაშია ვ. კობახიძე). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ა. ბათიაშვილი). 16.45 — თბილისის კინოთეატრების რეპერტუარი. 16.55 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება“. 17.55 — ქართული საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 18.25 — რეკლამა. 18.35 — ახალგაზრდობისათვის — „სკოლით იწყება სოფელი“ (განმეორებით). 18.55 — შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან — პ. ხუჭუა. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.) 20.00 — მოამბე. 20.30 — სკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — „სტუდია-დიალოგი“. 21.15—„საერთაშორისო დღიური“. 21.45 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00—„ვრემია“. 22.35 —ეკრანზეა კინოკომედია — ქართული მხატვრული ფილმი „მაცივარში ვიღაც იჯდა“. 23.55 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა 16.35 — მხატვრული ფილმი „მეექვსე“. 17.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბზიფის ხეობა“. 18.10 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია.

თეატრი

12 ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — და არს მუსიკა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სამიდან ექვსამდე; მინიატიურების სახელმწიფო — არ შეგვირიგდები; მოზარდ მაყურებელთა ქართული— ირინეს ბედნიერება (აბონ. № 74); ფილარმონია — ვია „ჯვარედი“ (ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08940 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.